www.24saati.ge

24 საათი

The New York Times
International Weekly
ყოველ სამშაბათს

© გაზეთი 24 საათი | ხუთშაბათი, 3 ოქტომბერი, 2013 წელი. | №3378 (186) | ფასი 50 თეთრი

მხარში მდგომის გაკვეთილები

პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი, ექსპერტების შემდეგ, «გაკვეთილის ჩატარებას“ ჟურნალისტებისთვის შეეცადა.

გუშინ პრემიერ-მინისტრი ბიზნესცენტრში ტელევიზიების საინფორმაციო სამსახურების უფროსებს და გადაცემების წამყვანებს შეხვდა. მიწვეულ ტელევიზიებს შორის ტელეკომპანია «ტაბულა“ არ აღმოჩნდა, რის გამოც ტელევიზიის დირექტორმა თამარ ჩერგოლეიშვილმა ივანიშვილის ბიზნესცენტრთან ბრიფინგი გამართა.

გაგრძელება
მე-2 გვერდზე

ჟურნალისტები პრემიერთან შეხვედრას აფასებენ

ტელეარხების საინფორმაციო სამსახურების უფროსებისა და თოქ-შოუების წამყვანებთან პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილის შეხვედრას მედიაში, ძირითადად, უარყოფითად აფასებენ.

შეხვედრის მონაწილე ჟურნალისტები პრემიერის შენიშვნების გამო უკმაყოფილონი არიან. **„მისაჯირყვნად დაგვიძახეს და მიგვჯირყვნეს,“** - ხუმრობით აღნიშნა „კავკასიის“ ჟურნალისტმა ალექსანდრე ელისაშვილმა ივანიშვილის ბიზნესცენტრიდან გამოსვლისას. ამასთან, როგორც ელისაშვილი ამბობს, მას თავის მართლება კონტექსტიდან ამოგლეჯილი ფრაზების გამო მოუწია. ჟურნალისტის აზრით, პრემიერ-მინისტრს ჟურნალისტიკის შესახებ სხვანაირი წარმოდგენა აქვს. ცხარე კამათის მიუხედავად, ელისაშვილი შენიშნავს, რომ

არჩევნებიდან ერთი წლის თავზე საქართველო ისეთი ქვეყანა გახდა, სადაც პირადად მას არ ეშინია, რომ პოლიციელები „რაღაცას ჩაუდებენ, გლდანის ციხეში ცემით გაბერავენ და ჯაშუშობას დააბრალებენ.“

„პალიტრა ტვ“-ს ჟურნალისტი მერაბ მეტრეველი მიიჩნევს, რომ პრემიერის მხრიდან კონტექსტიდან ამოგლეჯილი ფრაზებით საუბარი მიუღებელია. მეტრეველის თქმით, თუ პრემიერს ჟურნალისტების საქმიანობის დეტალურად განხილვა სურს, კეთილი უნდა ინებოს, ყველა გადაცემა თავიდან ბოლომდე ნახოს, ყველა სტატია წაიკითხოს და ჟურნალისტები შემდეგ გააკრიტიკოს. **„ბევრი ჟურნალისტი მიიჩნევს, რომ ივანიშვილის მიერ მოხმობილი ციტატები კონტექსტიდან ამოგლეჯილი იყო,“** - დასძენს მეტრეველი.

გაგრძელება
მე-3 გვერდზე

პარლამენტიდან ორი სადავო კანონპროექტი გაიწვიეს

პარლამენტიდან ორი სადავო კანონპროექტი გაიწვიეს, რომლებსაც საზოგადოებაში განსაკუთრებული კრიტიკა მოჰყვა. „საქართველოს მოქალაქეების საქართველოდან გასვლის და საქართველოში შემოსვლის წესის შესახებ“ კანონში ცვლილებების პროექტი მისმა ინიციატორებმა, საპროცედურო საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ ირინა იმერლიშვილმა და ვიცე-სპიკერმა ზურაბ აბაშიძემ თავად გაიტანეს. კანონპროექტი, სახელმწიფოს უსაფრთხოების ინტერესების დაცვის მიზნით, საქართველოს მოქალაქეებისთვის საზღვრის გადაკვეთის შეზღუდვის დაწესებას უშვებდა.

პარლამენტის აპარატის საორგანიზაციო დეპარტამენტისადმი პარლამენტარების მიერ მიწერილ წერილში ნათქვამია, რომ კანონპროექტის გაწვევის მიზეზი საზოგადოებაში გაჩენილი აზრთა სხვადასხვაობა და გამოთქმული წინადადებები გახდა.

კანონპროექტის გაუმჯობესებისა და შემდგომი სრულყოფის მიზნით, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, წარმოდგენილი კანონპროექტი გამოვიხმოთ. მიგვაჩნია, რომ უმჯობესია, მოცემული საკითხის სამართლებრივი რეგულირების მექანიზმები და კანონპროექტი შეიმუშავონ და საქართველოს პარლამენტს წარუდგინონ შესაბამისი კომპეტენციით აღჭურვილმა სტრუქტურებმა, რომლებიც ახორციელებენ ქვეყანაში სახელმწიფო და საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვას,“ - ნათქვამია იმერლიშვილისა და აბაშიძის განცხადებაში.

გაგრძელება
მე-5 გვერდზე

ნეთანიაჰუ როუჰანის არ ენდობა

ისრაელის პრემიერ-მინისტრმა ბენიამინ ნეთანიაჰუმ მსოფლიოს ირანის მთავრობასთან ურთიერთობაში სიფრთხილისკენ მოუწოდა. ნეთანიაჰუ გაეროს გენერალური ასამბლეის წლევანდელი სესიის ბოლო სხდომაზე გამოვიდა სიტყვით პირველ ოქტომბერს (საქართველოს დროით უკვე 2 ოქტომბერს).

ნეთანიაჰუმ ირანის ახლად არჩეული პრეზიდენტი დაახასიათა, როგორც ცხვრის ტყავში გახვეული მგელი. ნეთანიაჰუს სიტყვებით, ისრაელი ირანის მიერ ბირთვული იარაღის შექმნას იმ შემთხვევაშიც კი არ დაუშვებს, თუ ამ საკითხში ებრაული სახელმწიფო მარტო დარჩება.

გაგრძელება
მე-6 გვერდზე

1 აშშ დოლარი	1.6643⇓
1 ევრო	2.2110⇓
1 ინგლისური გირვანქა	2.5933⇓
1 თურქული ლირა	0.8622⇓
100 რუსული რუბლი	5.0433⇓

თბილისი	31°C - 20°C
ქუთაისი	33°C - 20°C
ზუგდიდი	32°C - 21°C
ბათუმი	27°C - 21°C

ნავთობი	3.19	+0.00	+0.16%
გაზი	3.58	+0.11	+3.07%
ოქრო	1,743.20	-9.80	-0.56%
ხორბალი	868.50	+12.25	+1.41%

"24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე
www.24saati.ge
ჩვენი პარტნიორები:

თიბისი ბანკი TBC BANK
ჩვენ ვაძლიერებთ ერთმანეთს
FM 102.4 საქართველოს სოფლისმოამაგენი მაუწყებელი
ბანკი კონსტანტა BANK CONSTANTA

ISSN 1987 9121

კალათბურთის ფედერაციის გამგეობის განცხადება

1 ოქტომბერს გაიმართა საქართველოს კალათბურთის ფედერაციის გამგეობის სხდომა, რომლის მიერ მიღებული გადაწყვეტილება მასმედიას გამგეობის წევრმა, **პაატა გურასპაულმა** გააცნო.

საქართველოს კალათბურთის ფედერაციის გამგეობის განცხადება

შეგახსენებთ, რომ საქართველოს კალათბურთის ფედერაციის (სკფ) გამგეობის 25 სექტემბრის სხდომაზე დადგინდა, რომ საქართველოს კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტის არჩევნები გაიმართება არა უგვიანს 2013 წლის 14 დეკემბრისა.

საქართველოს კალათბურთის ფედერაციის გამგეობა კიდევ ერთხელ იმეორებს და ადასტურებს, რომ გადაწყვეტილებები კალათბურთთან დაკავშირებულ საკითხებზე უნდა მიიღოს მხოლოდ საქართველოს საკალათბურთო საზოგადოებამ.

იმისთვის, რომ სკფ-ს გამგეობამ გამოიტანოს გადაწყვეტილება ფედერაციის პრეზიდენტის არჩევნების თარიღთან და ფედერაციის წესდებასთან დაკავშირებით, აგრეთვე საარჩევნო ყრილობის დღის წესრიგთან დაკავშირებით, სკფ-ს გამგეობამ ა.წ. 1 ოქტომბრის სხდომაზე დაგეგმა შეხვედრები საქართველოს საკალათბურთო საზოგადოების წარმომადგენლებთან.

გაგრძელება
მე-7 გვერდზე

ალექსანდრე ჩივაძე ევროშესარჩევში ცვლილებებს ვერ ასცდა

მხარში მდგომის გაკვეთილები

პირველი გვერდიდან

თავად ივანიშვილმა კი შეხვედრაზე «ტაბულას“ არმიწვევას გაუგებრობა უწოდა.

პრემიერ-მინისტრის და ჟურნალისტების შეხვედრა სამ საათზე მეტხანს გაგრძელდა.

ისევე როგორც ექსერტებთან შეხვედრისას, ივანიშვილი გუშინაც «მომზადებული“ აღმოჩნდა და ჟურნალისტების ალეკო ელისაშვილისა და ირმა ინაშვილის გამონათქვამებიც წაიკითხა.

„დღეს თავს დავანებებ რუსთავი 2“-ისა და იმედის“ კრიტიკას და ავირჩევ ჩემს საყვარელ ტელევიზიას და ყველაზე პრინციპულად და გამორჩეულად, ობიექტურად წოდებულ ალეკო ელისაშვილს და მის გამონათქვამებს. ასევე მინდა, მერაბ მეტრეველზეც ვისაუბრო, რომელიც, ჩემი აზრით, იზრდება. თქვენ არავითარი კომპლექსები არ გაქვთ, ყველაფერზე შეგიძლიათ, იმსჯელოთ და იმედი მაქვს, მომავალში მოახერხებთ მოვლენების უფრო ღრმა შესწავლას. საჭიროა უფრო კარგი და არგუმენტირებული ცოდნა. ამის დიდი სურვილი გამაჩნია მეც და მთელ საზოგადოებასაც. ირმა ინაშვილი არ არის დღეს, თუმცა მე ის არჩეული მყავდა მეორე ადგილზე და მინდოდა, მეპასუხა,“ - განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

ჟურნალისტმა ალეკო ელისაშვილმა პრემიერს მიმართა, ნუ ასწავლის, როგორ წაიყვანოს გადაცემა.

ბიძინა ივანიშვილმა ჟურნალისტებისგან პირდაპირ მოითხოვა თავისი მთავრობის შექება. პრემიერმა «ქართული ოცნების“ მთავრობის მიღწევებზეც ისაუბრა და კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ დაპირებები გადაჭარბებულად შესრულდა.

პრემიერ-მინისტრის თქმით, სოზარ სუბარს **ღამეები არ სძინავს“** და მას **დაცვა და მადლობის თქმა“** სჭირდება. ივანიშვილის განმარტებით, თუ მინისტრებს მადლობას არ ვეტყვით, მათ **„ხასიათი გაუფუჭდებათ.“**

„რომ განახოთ, როგორ აღწერთ ციხეებს, სიტუაცია არანაირად არ განსხვავდება წინა ხელისუფლების პირობებისგან. სოზარ სუბარს, საწყალს, ღამეები არ სძინავს და მას დაცვა და მადლობის თქმა სჭირდება. თუ გაკეთებულზე მადლობის თქმას ვერ მოვახერხებთ, მათ ხასიათი გაუფუჭდებათ. ძალიან ბევრ მინისტრს შეიძლება, მუშაობის სურვილიც აღარ ჰქონდეს. ძალიან განიცდის კვირიკაშვილიც. ჩვენ ძალიან ბევრი კარგი და წესიერი მინისტრი გვყავს. თუ მათ საქმიანობაზე შესატყვის აქცენტებს არ გავაკეთებთ, საკუთარ მომავალს დავუწყებთ ბრძოლას,“ - აღნიშნა ბიძინა ივანიშვილმა.

ამასთან ივანიშვილის განცხადებით, მას ისეთი დემოკრატიის დამკვიდრება სურს, რომ ევროპაც გააოცოს.

გუშინდელი შეხვედრაზე ჟურნალისტებმა დიცსა და დვანში განვითარებულ მოვლენებზე გაამახვილეს ყურდაღება და დაინტერესდნენ, რატომ არ ჩავიდა პრემიერ-მინისტრი დვანში და პირადად რატომ არ შეხვდა იმ მოსახლეობას, რომელსაც რუსული ოკუპაციის გამო საკუთარი ხელით მოუწია საკუთარი სახლების დანგრევა.

„დიცში ჩემი ჩასვლა პრინციპულად არაფერს შეცვლიდა, - განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა, - **ის, რომ პრემიერი ყველგან, ყველასთან ჩავიდეს, შეუძლებელია. კარგი იქნებოდა ჩავსულიყავი, გეთანხმებთ, მაგრამ მე რომ მხოლოდ ეს ვაკეთო, მთელი დროის განმავლობაში გზაში ვიქნებოდი. დიცის გარდა, სხვა რეგიონშიც არიან გაჭირვებულები, მე ათასად ვერ გავიჭრები.“**

მისივე თქმით, ჟურნალისტები ვერ აფასებენ, თუ **„რამდენი საქმე გვაქვს და რამდენს ვაკეთებთ.“**

ჟურნალისტ ინგა გრიგოლიას თქმით კი, დვანში არათუ პრემიერ-მინისტრი, არამედ მთავრობის სხვა წევრებიც არ ჩასულან. ამ განცხადების გამო ივანიშვილმა ჟურნალისტს დეზინფორმაციის გავრცელებაში დასდო ბრალი.

„თქვენ არ ხართ ფოსტალიონები, თქვენ ხართ ჟურნალისტები და მიღებული ინფორმაცია უნდა გადაამოწმოთ, გააანალიზოთ და თუ ეს ასე არ არის, ერთი ერთზე არ უნდა გადაანწოდოთ. თუ ერთი ერთზე აწვდით, ეს უკვე ფოსტალიონობაა, - მიმართა ჟურნალისტებს ბიძინა ივანიშვილმა. პრემიერის მტკიცებით, მთავრობის წევრები საოკუპაციო ზონაში **„უფრო ადრე ჩავიდნენ და ეს გუშინ და გუშინწინ არ მომხდარა.“**

ინგა გრიგოლიამ კი აღნიშნა, რომ ის თავად იმყოფებოდა დვანში, სადაც ადგილობრივი მოსახლეობა წუხს, რომ მთავრობა მათ პირადად არ ხვდება. პრემიერ-მინისტრმა თავის თანაშემწეს ზუსტი ინფორმაციის მოძიება სთხოვა, რათა «დაემტკიცებინა“, რომ მინისტრთა კაბინეტის წევრები საოკუპაციო ხაზთან იმყოფებოდნენ და დვანის მცხოვრებელებს შეხვდნენ. მაგრამ, ივანიშვილმა ინგა გრიგოლაის «დეზინფორმატორობის“ დამტკიცება ვერ შესძლო, რადგან აღმოჩნდა, რომ მთავრობის რამდენიმე წევრი არა დვანში, არამედ მის მახლობელ სოფელში იმყოფებოდა.

გუშინდელ შეხვედრაზე ცნობილი გახდა, რომ ბიძინა ივანიშვილი პრემიერის პოსტზე ყოფნის ვადებში აშშ-ში ოფიციალური ვიზიტით გამგზავრებას **ვერ მოახერხებს“.** ივანიშვილის თქმით, მას **თავისი სიამაყე აქვს“** და არ სურდა, მისთვის ამერიკაში **ბოკერიას ჩატანილი ინფორმაციით დაესვათ კითხვები.“**

„ნურავის აქვს ილუზია, რომ ამერიკის ხარჯზე ჩვენ რაღაცას მივაღწევთ. ახალი ხელისუფლება ეჭვქვეშ არ აყენებს იმ ფაქტს, რომ აშშ კვლავ ჩვენი მთავარი პარტნიორია. მე მივიღე მიწვევა აშშ-დან, თუმცა მაშინ მივიჩნიე, რომ ვიზიტი ნაადრევი იყო.

არ მინდოდა, ამერიკაში ისეთი ჩავსულიყავი, რომ ბოკერიას ჩატანილი ინფორმაციით დაესვათ ჩემთვის კითხვები, არ მქონდა ამის სურვილი, მეც მაქვს ჩემი სიამაყე, თან ბოდიშის მოხდით ეს ისე ავუხსენი, რომ არ ვაწყენინე.

ჩვენ აშშ-სთან ძალიან ბევრს ვმუშაობთ და ვერავინ იტყვის იმას, რომ ამერიკასთან ვერ ვთანამშრომლობთ, მგონი, წასვლა ვეღარ მოხერხდება, მაგრამ ეს არაფერს გააფუჭებს,“ - ამბობს პრემიერი და ამერიკის ელჩთან მეგობრულ დამოკიდებულებაზე ამახვილებს ყურადღებას.

ნორლანდმა შემომთავაზა, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში ჩემი ვიზიტი მიმდინარე წლის ნოემბერში შემდგარიყო, მეც დავეთანხმე, მაგრამ წინასწარ არ ვიცოდი, თუ როგორ განვითარდებოდა მოვლენები. მსურს, მადლობა გადავუხადო ბატონ ნორლანდს, იგი ძალიან ეფექტური და ენერგიულია. მახსოვს, თავიდან ნორლანდს იოგის მასწავლებელი შევთავაზე და მითხრა, ეს რაღაც კორუფციას ჰგავსო. აი, ასეთი ადამიანია რიჩარდი,“ - განაცხადა ივანიშვილმა.

შეხვედრაზე პრემიერ-მინისტრმა «ქართული ოცნების“ საპრეზიდენტო კანდიდატ გიორგი მარგველაშვილის შესახებაც ისაუბრა და აღნიშნა, რომ **„საოცარი საპრეზიდენტო კანდიდატი გვყავს. თუ ვაზვიადებდე, აი, ყველაფერს დავიფიცებ. საოცარი კანდიდატია გიორგი მარგველაშვილი, საოცარი მეგობარია.“**

„გუნდში ვინც იცნობს, ყველაზე მეტად ის უყვართ, ზოგჯერ ვეჭვიანობ. ამ კაცს ყველაფერი აქვს და, რა თქმა უნდა, უნდა ვაკრიტიკოთ კიდეც, მაგრამ გიორგიც გაიზარდა. გაცილებით უკეთესი ორატორია, აშკარად დამჩაგრა ორატორობაში და ძალიან გამიხარდა, შევაქე. აი, ასე უნდა შეაქოთ მინისტრები,“ - მოუწოდა ჟურნალისტებს პრემიერ-მინისტრმა.

ინგა გრიგოლია დაინტერესდა, რატომ არ დაასახელა ივანიშვილმა პრეზიდენტობის კანდიდატად ირაკლი ალასანია.

„NDI-ის კვლევის მიხედვით, ყველაზე რეიტინგული მინისტრი ირაკლი ალასანიაა. რატომ არ დაასახელეთ პრეზიდენტობის კანდიდატად, მით უმეტეს, ყველამ ვიცოდით, რომ ალასანია კანდიდატობას აპირებდა, - იკითხა გრიგოლიამ. საპასუხოდ, ივანიშვილმა აღნიშნა, რომ **„ალასანია კარგი მინისტრია და კარგად ასრულებს თავის მოვალეობას. მე და გუნდმა საუკეთესო ვარიანტად გიორგი მარგველაშვილი მივიჩნიეთ.“**

პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი გადაცემა „ღია ეთერის“ წამყვანმა ვახო სანაიამ მის გადაცემაში გამოყენებული ციტატების „კონტექსტიდან ამოგლეჯვაში“ დაადანაშაულა.

„თქვენ ჩემი გადაცემიდან ციტატა მოიყვანეთ. თქვენ ყოველთვის ითხოვთ არგუმენტირებას. მე რომ თქვენი ვრცელი გამოსვლიდან რაღაც კონტექსტი ამოვგლიჯო და ასე მივაწოდო საზოგადოებას, რა რეაქცია გექნებათ? ეს გადაცემა მე წავიყვანე და შემიძლია, დარწმუნებით გითხრათ, რომ ის, რაც ახლა წაიკითხეთ, კონტექსტიდანაა ამოგლეჯილი. გადაცემაში არაერთხელ იყო ნათქვამი, რომ საოკუპაციო ხაზთან მავთულხლართების გაბმა 2009 წლიდან დაიწყო,“ - მიმართა სანაიამ ბიძინა ივანიშვილს.

პრემიერის თქმით, ის აღნიშნულს გადაამოწმებს და თუკი დადასტურდება, რომ კონტექსტი დაცული არ იყო, ბოდიშს მოიხდის.

გარდა ამისა, სანაიამ ივანიშვილს მის მიერ გამოყენებული ტერმინის **„მხარდამჭერი ტელევიზიის“** განმარტებაც მოსთხოვა. **„არ გამოვრიცხავ, ეს გამონათქვამი გამომეყენებინოს და ამ კუთხით ცდომილება დამეშვა,** - ამბობს პრემიერი, - **თუმცა სიტყვა „მხარდამჭერში“ არა მხარდაჭერა, არამედ ობიექტურობა მქონდა მხედველობაში.“**

ვახო სანაია საწვავის გაიაფების თემასაც შეეხო. **საწვავზე არსებითი ცვლილებები არ არის. გაიაფებას ვგულისხმობ. ითქვა, რომ ვიღაცების ჯიბეებში მიდიოდა. თუ დღემდე არ გაიაფებულა, ეს იმას ნიშნავს, რომ დღესაც ვიღაცის ჯიბეებში მიდის. ასეა?“** - იკითხა სანაიამ, რაზეც პრემიერმა უპასუხა: **შეგიძლიათ, აქაც კვლევა ჩაატაროთ, ხელისუფლებიდან არავის ჯიბეებში არ მიდის. შეიძლება, წინა ხელისუფლებას ამ კუთხით... მეც ბოლომდე გაშლილი არ მაქვს, რომ ეს ვიღაცების ჯიბეებში მიდიოდა.“**

ამასთან, «ღია ეთერის“ წამყვანი დაინტერესდა, რატომ არ ამბობს უარს პრემიერ-მინისტრი საფრანგეთის მოქალაქეობაზე და მის სანაცვლოდ რატომ არ იღებს საქართველოს მოქალაქეობას.

ახლა რომ მოქალაქეობა მივიღო, უფრო ადრე დავკარგავ პრემიერის პოსტს. არ მაქვს მოქალაქეობის მიღების უფლება. ისეთი კონსტიტუცია მოახერხა და 5 წუთში 3 მოსმენით მიაღებინა ამ კაცმა, სალომე ზურაბიშვილიც ამის გამო დაზარალდა. მე ქვეყნისთვის სიცოცხლე დავთმე, როცა დასჭირდა და როგორ ფიქრობთ, მოქალაქეობას გამოვეკიდები?

რა დროსაც მე პოლიტიკაში შემოვედი, ეს თავის გაწირვა იყო. ასეთი კითხვები როცა ჩნდება, განმარტებები უკვე გაქვთ. ყველამ კარგად ნახა, რომ საფრანგეთის მოქალაქეობაზე უარი ვთქვი და მინდოდა, საქართველოს მოქალაქეობა ნატურალიზაციის წესით მიმეღო, მაგრამ არ მოხერხდა. აქ პრინციპებიც არის, რატომ უნდა ვიარო იმ კაცის დაკრულზე? ვიღაცის გადმოგდებულებს ასე არ ვიღებ, არ ვარ ლაჩარი, არჩევნები რომ დამთავრდა, სააკაშვილმა გადმომიგდო რაღაც - აჰა, აიღეო, მაგრამ მე ამას არ ავიღებდი. ამის საჭიროება არ არის. მე პიროვნება ვარ და ჩემს პრინციპებს ვიცავ, ველოდები და სასამართლოს გადაწყვეტილებით დავიბრუნებ იმას, რაც წამართვეს,“ - აღნიშნა პრემიერ-მინისტრმა.

ბიძინა ივანიშვილმა პრემიერ-მინისტრის პოსტის დატოვებაზეც ისაუბრა. ჟურნალისტები დაინტერესდნენ, რა პასუხისმგებლობას აიღებს ივანიშვილი იმ შემთხვევაში, თუ თანამდებობიდან მისი წასვლის შემდეგ დაპირებები არ შესრულდება. საპასუხოდ პრემიერმა აღნიშნა, რომ მას სიტყვაზე უნდა ვენდოთ, რადგან **ბიზნესის კეთების დროს ვერავინ ვერსად ნახავს მის გადაგდებულ სიტყვას.“**

„როდესაც მოსახლეობას ჰპირდები, რომ ამას გააკეთებ და ვერ აკეთებ, ამაზე შემდეგ არჩევნებში აგებ პასუხს და აგებ შენი თანამდებობით, პირველ რიგში. როდესაც ამ თანამდებობას ნაადრევად ტოვებ, რითი უნდა აგო პასუხი და მინიშნება გავაკეთე, რომ ჩვენ ქართველებს სიტყვის ფასზე დიდი გართულება გვაქვს.

თუ არ შემიძლია, არ ვიტყვი და თუ ვიტყვი, მაქსიმალურად პასუხს ვაგებ. მე ასე მიცხოვრია. მხოლოდ ჩემი სიტყვები დარჩება პასუხისმგებლობად, მეტი არაფერი,“ - განაცხადა ივანიშვილმა.

ჟურნალისტი მერაბ მეტრეველი დაინტერესდა, რატომ არჩევენ საჯარო სამსახურებში კადრებს კონკურსების გვერდის ავლით. საპასუხოდ პრემიერმა აღნიშნა, რომ კადრები კონკურსებით უნდა შეირჩეს, თუმცა **ქართველებს ნათესავების პატივისცემა რომ გვიყვარს, ფაქტია.“**

„კადრების შევსება კონკურსებით უნდა მოხდეს, მაგრამ ნაცნობობა და ნათესავების პატივისცემაც რომ ძალიან გვიყვარს ქართველებს, ესეც ფაქტია. ნუ გინდათ, ხუთ წუთში ევროპაზე კარგი საქართველო მიიღოთ. რაც 10-20 წლის განმავლობაში უნდა გაკეთდეს, იმას უცებ ნუ ითხოვთ. უნდა გაიგოთ, სად, რა და როდის უნდა გაკეთებულიყო. უეცრად 20 წლის შემდგომი საქართველოს მიღება რომ გინდათ, ასე არ არის,“ - განაცხადა ივანიშვილმა.

ამასთან, ივანიშვილმა ამჯერადაც ისაუბრა იუსტიციის ყოფილ მინისტრ ზურაბ ადეიშვილზე და კიდევ ერთხელ განმარტა, რომ მისი მთავრობის პირობებში ადეიშვილი წარმატებული მინისტრი იქნებოდა.

„ჩემმა გამონათქვამმა ვნებათაღელვა გამოიწვია და დღესაც გავიმეორებ - მართლაც, ნიჭიერი კაცი ჩანს, თუმცა ნიჭი პოზიტივს უნდა მოხმარდეს, საზოგადოების სასარგებლოდ უნდა იყოს გამოყენებული და არა დამანგრეველი. ის „ნაციონალური მოძრაობის“ ჯგუფში გამორჩეულად ნიჭიერი იყო. თუ გინდათ, მისი ქმედება ავიღოთ - სწორი დასკვნა გააკეთა, გააცნობიერა რეალობა და წავიდა სადღაც, მაგრამ ჩემი გამონათქვამები მას პასუხისმგებლობისგან არ ათავისუფლებს და პროკურატურის და სასამართლოს საქმიანობაში არ ვერევი,“ - ამბობს ბიძინა ივანიშვილი. პრემიერი მიიჩნევს, რომ ადეიშვილი ძალადობის მსხვერპლი იყო.

„ისიც შეკვეთებს ასრულებდა. ეს არ იყო მისი იდეოლოგია, ისიც კი ძალადობას განიცდიდა და დარწმუნებული ვარ, ჩვენს შემთხვევაში, ადეიშვილი ერთ-ერთი წარმატებული მინისტრი იქნებოდა,“ - დასძენს პრემიერმა.

ჟურნალისტი ნინო ჟიჟილაშვილი დაინტერსდა, ვისთან გადის პრემიერი კონსულტაციებს ასეთი შეხვედრების წინ.

„ვინ გიმზადებთ, ვინ გეხმარებათ, კონსულტაციებს ვისთან გადიხართ მსგავსი შეხვედრების ორგანიზებისას. ნაწერი რომ გიჭირავთ, ვისი ნაწერია, რომ გვითხრათ. ვინ გირჩევთ კომუნიკაციის ამ ფორმას ჟურნალისტებთან და აქედან რომ გახვალთ, თუ უსაყვედურებთ მათ? კომუნიკაციის ასეთი ფორმა თქვენი არჩევანია თუ დამხმარის და კონკრეტულად ვისი? უშვებთ თუ არა შესაძლებლობას, რომ კომუნიკაციის ეს ფორმა შეცდომა იყოს?“ - იკითხა ჟურნალისტმა.

პრემიერის თქმით, ეს მისი პირადი გადაწყვეტილებაა და ძალიან კარგ ფორმად მიაჩნია.

შეხვედრის ბოლოს ჟურნალისტმა ეკა მიშველაძემ პრემიერს ჰკითხა, აპირებს თუ არა მსგავსი ხასიათის შეხვედრას უცხოური მედიასაშუალებების ჟურნალისტებთან და მათთან ეთიკასა და ჟურნალისტურ სტანდარტებზე საუბარს, რაზეც პრემიერმა შენიშნა, რომ უცხოური მედიასაშუალებების წარმომადგენლებთან შეხვედრა მისი საქმე არ არის.

„უცხოური მედიასაშუალების ჟურნალისტებთან შეხვედრას არ ვაპირებ, რამეთუ ეს არ არის ჩემი საქმე. მე მინდა, ჩემს ქვეყანას დავეხმარო და არა გავაფუჭო. ალეკო ელისაშვილი ჩემი საუკეთესო ჟურნალისტია, იქნება და დარჩება კიდეც, მხოლოდ იმიტომ, რომ მასთან და „კავკასიასთან“ განსაკუთრებული გრძნობები და ურთიერთობა მაქვს. ალეკო გამოირჩევა პრინციპულობით. მერაბი ძალიან მომწონს, ის, ყველაფერის მიუხედავად, ჯიუტად ცდილობს, აკრიტიკოს ხელისუფლება, მაგრამ ჩვენი პასუხებიც უნდა მიიღოს,“ - აღნიშნავს ივანიშვილი.

პრემიერის თქმით, შეხვედრის მთავარი მიზანი ჟურნალისტების თანადგომა და მათში პასუხისმგებლობის გაზრდა იყო.

„ასეთი ტიპის შეხვედრა ბევრ ადამიანს შეიძლება, არ მოეწონა, თუმცა ის ერთადერთს ემსახურებოდა, რომ მე თქვენ მხარში დაგიდგეთ და თქვენი პასუხისმგებლობის განცდა გაიზარდოს. მარტო მთავრობისგან არ უნდა მოვითხოვოთ... არ მინდა, ხელი შეგიშალოთ, შეხვედრა იმას ემსახურებოდა, რომ მხარში დაგდგომოდით,“ - მიმართა ჟურნალისტებს საქართველოს პრემიერ-მინისტრმა.

დემირელის კოლეჯი

აგრძელებს მოსწავლეთა მიღებას
I-XII კლასებში და ხსნის

I კლასისთვის მოსამზადებელ ჯგუფს
4-5 წლის ბავშვებისათვის.

ტრადიციულად, დემირელის კურსდამთავრებულებმა წელსაც ისახელეს თავი და ჩაირიცხნენ აშშ-ს, თურქეთის და საქართველოს პრესტიჟულ უმაღლეს სასწავლებლებში.

ათმა მოსწავლემ მოიპოვა 100% -იანი გრანტი, ოთხმა მოსწავლემ 70%-იანი გრანტი, შვიდმა მოსწავლემ 50%-იანი გრანტი.

მისამართი: ორთაჭალა გრიშაშვილის N 51
ტ: 2 75 24 58

გაზეთ "24 საათის" გამომცემელი შპს "მვპ". რედაქტორ-გამომცემლები:
მამუკა ფაჩუაშვილი, პაატა ვეშაპიძე.
რედაქცია: სოფიკო ჩხაიძე (მთავარი რედაქტორი), რედაქტორები: მაია ჭალაგანიძე (საზოგადოება,Weekend), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), ივა შილაკაძე (უცხოეთი)
სოფო კილასონია (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი). **რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი** *ირაკლი ლეჟავა* ტელ: 899 22 09 49. კომპიუტერული ცენტრი: ირმა ჯიშკარიანი, ნინო ყაველაშვილი
რედაქციის მისამართი: ქ. თილისი, ვაჟა-ფშაველას 45, 14-ე სართული. ტელ: 40-94-45; 40-94-46; 40-94-47; 40-94-48 ელ-ფოსტა: public@24hours.ge

ჟურნალისტები პრემიერთან შეხვედრას აფასებენ

როგორც მეტრეველი აღნიშნავს, მას შთაბეჭდილება რჩება, რომ ივანიშვილს საზოგადოების აღზრდა სურს. ჟურნალისტის თქმით, პრემიერმა აღმზრდელობითი სამუშაო ჯერ ექსპერტებს ჩაუტარა, ახლა - ჟურნალისტებს. **„მერე თქვა, რომ არასამთავრობო ორგანიზაციებს უნდა შეხვდეს,“** - დასძენს მეტრეველი.

„ტვ 3“-ის თოქ-შოუ „დიდი პოლიტიკის“ წამყვანი ინგა გრიგოლია ბიძინა ივანიშვილის მიერ ფოსტალიონების ხსენების გამოა უკმაყოფილო. **„რა თქმა უნდა, არ არის სასიამოვნო, როდესაც გეუბნებიან, რომ ფოსტალიონი ხარ. როდესაც შენგან ითხოვენ, რომ შენი არგუმენტები თქვა, შენ უსახელებ, მაგრამ პასუხად მაინც იღებ იმას, რომ შენ დეზინფორმაციას ავრცელებ,** - ამბობს ინგა გრიგოლია და დასძენს, - **მაგალითად, შენ კრიტიკული კითხვა იმიტომ არ უნდა დასვა, რომ რომელიღაც მინისტრს შეიძლება, გული ეტკინოს. დიდი ბოდიში, მაგრამ თუ მინისტრს გული ეტკინება, ის პოლიტიკაშია და გაცნობიერებული უნდა ჰქონდეს, რომ ნებისმიერი კრიტიკული კითხვისთვის მზად უნდა იყოს.“**

ტელეკომპანია „იმედის“ თოქ-შოუ „ღია ეთერის“ წამყვან ვახო სანაიას შეფასებით, პრემიერ-მინისტრს ხელთ ჰქონდა კონტექსტიდან აბსოლუტურად ამოგლეჯილი ფრაზები. ამასთან, როგორც სანაია ამბობს, პრემიერ-მინისტრს ჟურნალისტიკის შესახებ თავისი შეხედულებები აქვს. **„ჩვენ ჩვენი შეხედულებები გვაქვს. არ მგონია, რამე განსაკუთრებული მოხდა, აბსოლუტურად ჩვეულებრივად აღვიქვი ის, რომ მას საკუთარი პოზიცია აქვს და შეუძლია, ნებისმიერი ადამიანი გააკრიტიკოს. რაც შეეხება კონკრეტულ ეპიზოდებს, ვფიქრობ, მან ჩემგან დასაბუთებული პასუხი მიიღო,“** - აღნიშნა ვახო სანაიამ.

პრემიერთან შეხვედრა შეაფასეს ჟურნალისტებმა, რომლებიც გუშინ ბიზნესცენტრში არ ყოფილან. ჟურნალისტმა დავით პაიჭაძემ „24 საათთან“ საუბარში აღნიშნა, რომ ჟურნალისტებთან პრემიერის შეხვედრის დროს ცალკეულ აქცენტებზე მნიშვნელოვანი შეიძლება, ის სულისკვეთება იყოს, რომლითაც მთავრობის ხელმძღვანელი საუბარს წარმართავდა. პაიჭაძის თქმით, თუნდ ოდნავ დისკომფორტული შეკითხვის დასმა ივანიშვილის «აჭრას“ იწვევდა. **„ამის კარგი მაგალითი გახლდათ ნინო ჟიჟილაშვილის შეკითხვა ჟურნალისტებთან კომუნიკაციის ფორმაზე. პრემიერი თან ავლენს და თან ცდილობს, მოთოკოს ავტორიტარული იმპულსები, რომლებსაც მას ადამიანის განსხვავებული, საპირისპირო პოზიცია უღვიძებს. მე ვუყურე ივანიშვილის შეხვედრას ექსპერტებთანაც და მგონია, რომ ის შეხვედრაც და 2 ოქტომბრის შეკრებაც უხერხული და ცოტათი მაინც შეურაცხმყოფელი უნდა ყოფილიყო მისი სტუმრებისთვის - ზოგიერთისთვის მაინც. ასევე მიმაჩნია, რომ სულ უფრო ფართოვდება იმ პროფესიათა ჩამონათვალი, რომელთა წარმომადგენლებსაც შეუძლიათ, პრემიერის ქცევასა და მეტყველებაზე კვალიფიციური კომენტარი გააკეთონ: ვგულისხობ თუნდაც ფსიქოლოგებს, რიგ სამედიცინო მუშაკებს. უაღრესად საგულისხმო იყო ბატონი ბიძინას ფრაზა: ზოგჯერ მგონია, რომ გიჟი ვარ“. ჩვენ ვიცით, რომ წამოცდენები, ცხადია, შემთხვევითია, მაგრამ ღრმად კანონზომიერიც. ასეთი იყო წამოცდენა, რომელსაც ვახო სანაიას შეკითხვა მოჰყვა ივანიშვილის მხარდამჭერი ტელევიზიების შესახებ. პრემიერი, ასე ვთქვათ, ებრძვის საკუთარ გულწრფელ განწყობას: ვინც ჩვენთან არ არის, ჩვენი მტერია. ის უყვირის და პირდაპირ მოუწოდებს ჟურნალისტებს, მადლიერება გამოუხატონ მთავრობის წევრებს. მისი სიტყვები - მე მაქვს ჭარბი ნდობა“ - მიანიშნებს, რომ ეს ნდობა ზედმეტად, ეგებ დაუმსახურებლადაც მიაჩნია. თავის მხრივ, ეს უნდა ნიშნავდეს, რომ პრემიერს კრიტიკული თვითრეფლექსიის უნარიც აქვს და ის შესაძლოა, ადეკვატურადაც აფასებს თავისი ერთწლიანი საქმიანობის შედეგებს.**

ასევე გამოჩნდა, რომ პრემიერი გაუბედავია. მიუხედავად მისი განმარტებისა, რომ ძალიან დაკავებულია, სხვა ვერაფრით ვხსნი მის უარს, წავიდეს და ნახოს მოქალაქეები დვანში. ის დრო, რაც ივანიშვილმა ჟურნალისტებთან შეხვედრას დაახარჯა, თავისუფლად ეყოფოდა იქ გამგზავრებას.

საწყენი და ამავე დროს ნიშნეულია, რომ პრემიერ-მინისტრი ეგრეც არ ესტუმრა საქართველოს ყველაზე დიდ მეგობარ ქვეყანას. მისი სიწრფელის მიუხედავად, ამ საკითხზე ივანიშვილის განმარტებები უკმარად და არაგულწრფელად მიმაჩნია. ვიზიტი აშშ-ში, ვფიქრობ, არ შედგა იმის გამო, რომ პრემიერი პოლიტიკიდან მიდის. რა ინტერესი უნდა ჰქონდეს აშშ-ს პრეზიდენტს, შეხვდეს ფიგურას, რომელიც ამ შეხვედრიდან რამდენიმე კვირაში თანამდებობას ტოვებს და წესით, პოლიტიკაში აღარაფერი უნდა მოეკითხოს? ობამა კიდევ სამი წელი იქნება პრეზიდენტი. რა უნდა ელაპარაკოს ივანიშვილს, რომელიც ბოლო დროს ნიადაგ იმას გაიძახის, რომ პოლიტიკა მისი საქმე არ არის?“ - ამბობს დავით პაიჭაძე.

ჟურნალისტი ია ანთაძე პრემიერთან შეხვედრიდან ორ ასპექტს გამოყოფს. **„პირველი არის ის, რომ ბიძინა ივანიშვილი ურთიერთობების სრულიად ახალ ფორმას ამკვიდრებს, რომელიც გულისხმობს შეხვედრას ჟურნალისტებთან, ექსპერტებთან ღია ეთერში, რამდენიმესაათიან ფორმატში, სადაც ადამინებს ეძლევათ საშუალება, მას ესაუბრონ და შკითხვები დაუსვან, გააკრიტიკონ და მიიღონ მისგან კრიტიკა. მე ამ ფრომატში გულწრფელობა მომწონს, რაც ძალიან განსხვავდება სხვა პირველი პირების საუბრის ფორმატისგან, თუმცა არ ვარ დარწმუნებული, რომ ის ამ ფორმატის დამკვიდრებას შეძლებს,** - უთხრა „24 საათს“ ია ანთაძემ და დასძინა, - **პრემიერს აქვს პრეტენზია, რომ ჟურნალისტების მიწოდებული ინფორმაცია ყოველთვის სრული და არგუმენტირებული არ არის. ქართულ ჟურნალისტიკაში ასეთი პრობლემა არსებობს. აბსოლუტურად ვიზიარებ, რომ ჟურნალისტის მიერ მიწოდებული ინფორმაცია ძალიან არგუმენტირებული და ზუსტი უნდა იყოს, მაგრამ ორმაგი სტანდარტი არ უნდა იყოს. მიმაჩნია, რომ პრემიერი მზად არ იყო, ჟურნალისტებისთვის ისე ეპასუხა, როგორსაც მათგან თავად მოითხოვდა.“**

საკუთარი ინფორმაცია

რატომ არა ევრაზიულ საბაჟო კავშირს

EPRC
Economic Policy Research Center
ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი





ევრაზიული საბაჟო კავშირი ბევრისთვის საბჭოთა კავშირის ანალოგიაა და ამის მაგალითად საკმაოდ მნიშვნელოვანი არგუმენტებიც მოჰყავთ - მაგალითად ის, რომ კავშირის წევრობა, დღეისთვის არსებული ინფორმაციით, პერსპექტივაში გულისხმობს: წევრ ქვეყნებს შორის თანამშრომლობას თავდაცვის სფეროში კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების ორგანიზაციის ბაზაზე, ერთიანი სამხედრო და პოლიციური ძალების შექმნას შიდა კონფლიქტების მოსანესრიგებლად, თავდაცვის ცენტრით მოსკოვში; ერთიან პარლამენტს და ერთიან აღმასრულებელ ხელისუფლებას; (ზესახელმწიფოებრივი ორგანოების შექმნას); 2022 წლისათვის ერთიან ვალუტას (სავარაუდოდ რუსულ რუბლს); საგარეო პოლიტიკის რუსეთთან კოორდინაციას; ერთიანი საგანმანათლებლო სივრცის შექმნას; ერთიან საბანკო სივრცეს; ერთიან საბაჟო და ეკონომიკურ სივრცეს.

მიუხედავად ამისა, ჩვენი ორგანიზაციის - «ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი», პროფლიდან გამომდინარე, ძირითად აქცენტს სწორედ ეკონომიკურ მხარეზე გავაკეთებთ. «ევრაზიული საბაჟო კავშირი ევრაზიული ეკონომიკური გაერთიანების ფარგლებში» - ამ გაერთიანების დასახელებაში ძირითადად ეკონომიკური თემატიკაა ხაზგასმული. ევრაზიული კავშირის წევრობის მომხრეებიც დღეს ძირითადად ეკონომიკურ ბენეფიტებზე საუბრობენ და ნაკლებად - პოლიტიკურ შემადგენელზე. ერთი შეხედვით მომხიბლავად გამოიყურება პერსპექტივა, რომ ამის შედეგად ქართული პროდუქციისთვის რუსეთის ბაზრი გაიხსნება და ამით უდიდესი ეკონომიკური წინსვლა გარანტირებულია. დეტალურად შევჩერდებით ამ მოლოდინსა და რეალურ პერსპექტივაზე:

დღეის მდგომარეობით «ევრაზიული საბაჟო კავშირი არის სავაჭრო ეკონომიკური ინტეგრაციის ფორმა ბელორუსს, ყაზახეთსა და რუსეთს შორის. იგი ითვალისწინებს წევრი სახელმწიფოებისთვის «ერთობლივ საბაჟო სივრცეს, რომლის ფარგლებშიც ტვირთბრუნვა არ იბეგრება საბაჟო გადასახადებით და არ გამოიყენება ეკონომიკური ტიპის შეზღუდვები». თუმცა აქვე არის დათქმა იმის თაობაზე, რომ ამ გაერთიანების წევრობა «არ გამორცხავს სპეციალური დაცვითი, ანტიდემპინგური და კომპენსაციის ღონისძიებების გატარებას ქვეყნების მიერ».

საქართველო ჯერ კიდევ დსთ-ს წევრი ქვეყანა იყო (დსთ ოფიციალურად ქვეყანამ 2008 წლის ომის შემდეგ დატოვა), როცა მის წინააღმდეგ სავაჭრო ემბარგო ამოქმედდა (2006 წელს). ამასთან, ეს ემბარგო სწორედ სასურსათო უვნებლობის ზომებთან იყო დაკავშირებული. ეს კარგი მაგალითია იმის გასაბრალებლად, რომ ევრაზიული კავშირის წევრობა არ არის საქართველოსთვის იმის გარანტია, რომ ამ ქვეყნის პროდუქცია არ მოექცევა «სპეციალური დაცვითი» სანქციების ქვეშ, რომელზეც საბაჟო კავშირის დოკუმენტებშია საუბარი. მეტიც, ვფიქრობთ, რომ ამ ტიპის დათქმები სწორედ საქართველოს ტიპის ქვეყნებისთვის არის ჩადებული.

ამის პარალელურად კი, საქართველოს მოუწევს თავადაც გაუწიოს პრეფერენცია რუსულ და საბაჟო კავშირის წევრი ქვეყნების იმ პროდუქციის იმპორტს, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი დღეს ჩანაცვლებულია თურქული, ჩინური თუ სხვა პროდუქციით. ეს, ცხადია, შეზღუდავს კონკურენციას საქართველოს ბაზარზე, სავარაუდოდ, აისახება ფასების ზრდაზე და გამოიწვევს მოხმარებული პროდუქციის ხარისხის ვარდნას. განსხვავებულ საბაჟო რეჟიმში ჩაყენებული არაწევრი ქვეყნები პროდუქციის ფასი არაადექვატურად შეიძლება გაძვირდეს. შესაბამისად, როგორც, მაგალითად საბჭოთა კავშირის ეპოქაში, საქართველოს მოსახლეობას ექნება არჩევანი რუსული ან ევრაზიული კავშირის წევრი სხვა ქვეყნების მიერ წარმოებულ პროდუქციასა და სხვა ქვეყნების უკიდურესად გაძვირებულ პროდუქციას შორის. ასეთი პერსპექტივა შესაძლოა არარეალისტურად გამოიყურებოდეს 21-ე საუკუნეში, მაშინ, როცა საქართველოცა და რუსეთიც მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრი ქვეყნებია. თუმცა ამ ვარაუდის რეალისტურობის ხარისხი იზრდება იმ პირობის ფონზე, რომელიც ასევე ჩადებულია ევრაზიული კავშირის დოკუმენტებში: «საბაჟო კავშირის წვერი ქვეყნები იყენებენ ერთობლივ ტარიფსა და რეგულირების სხვა ერთობლივ ზომებს მესამე ქვეყნებთან საქონლით ვაჭრობის დროს.»

ევრაზიული საბაჟო კავშირში გაწევრიანება, როგორც მინიმუმ, ნიშნავს, რომ საქართველოს, შესაძლოა, უარის თქმა მოუწიოს იმ პრეფერენციებზე, ანუ შეღავათებზე მსოფლიო ბაზრებზე, რომელიც დამოუკიდებლობის პერიოდში ნაბიჯ-ნაბიჯ აქვს მოპოვებული და მათზეც, რომელსაც უახლოეს პერიოდში მოელის, მაგალითად ევროკავშირის ღრმა და ყოვლისმომცველ სავაჭრო ხელშეკრულებაზე (DCFTA).

რადგან ჩვენ დღეს აქცენტს ეკონომიკურ მიზანშეწონილობაზე ვაკეთებთ, მოკლე ინფორმაცია საქართველოსთვის დღეს არსებული სავაჭრო პრეფერენციების შესახებ:

1. უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმი (Most-Favored-Nation) საქართველოს სავაჭრო პარტნიორების უმეტესობა არის ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის (ვმო) წევრი და შესაბამისად, ვმო-ს წევრ ქვეყნებთან (158 ქვეყანა) სავაჭრო ურთიერთობები ხორციელდება «უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმის» (MFN) საფუძველზე.

2. პრეფერენციათა განზოგადებული სისტემა (Generalized System of Preferences - GSP) პრეფერენციების განზოგადებული სისტემის (GSP) ძირითადი არსია ბენეფიციარი ქვეყნებიდან იმპორტირებულ საქონელზე საბაზო საიმპორტო ტარიფის შემცირებული განაკვეთების დაწესება, რაც აადვილებს განვითარებადი ქვეყნების საქონლის შეღწევას განვითარებული ქვეყნების ბაზარზე. 3. GSP + დღეის მდგომარეობით საქართველოს სარგებლობს ევროკავშირთან «GSP+» -ის სისტემით, რომელიც იძლევა საშუალებას, რომ ქართული წარმოშობის 7200-მდე დასახელების პროდუქტი ევროკავშირის ბაზარზე შევიდეს ნულოვანი საბაჟო განაკვეთით;

4. საქართველოს თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმი აქვს დსთ-ს ყველა ქვეყანასთან და თურქეთთან;

5. ამას გარდა, საქართველო არის შემდეგი ქვეყნების პრეფერენციათა განზოგადებული სისტემის რეჟიმის ბენეფიციარი: აშშ, იაპონია, კანადა, შვეიცარია და ნორვეგია.

ევრაზიულ საბაჟო კავშირში გაწევრიანების შემთხვევაში, როგორც მინიმუმ თურქეთის, საქართველოს ერთ-ერთი უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორის, სავაჭრო ბაზარი საქართველოსთვის უკვე ვეღარ იქნება ხელმისაწვდომი ძველი პირობებით. წევრი ქვეყნების ერთიან პირობებში ყოფნა, ერთის მხრივ, თავად ევრაზიული საბაჟო კავშირის პირდაპირი მოთხოვნაა, მეორეს მხრივ კი ევროკავშირის მხრიდანაც გახმოვანებული წინაპირობა. ეს იმას ნიშნავს რომ ევროინტეგრაცია და ევრაზიული საბაჟო კავშირი შეუთავსებადია.

დღეს, შეიძლება ითქვას, რომ საქართველო არსებული შეღავათების ძალიან დიდი ნაწილის ათვისებას ვერ ახერხებს. თუმცა პოტენციალი უზარმაზარია და, სწორი მუშაობის შემთხვევაში, ყველა ამ ბაზრის ამოქმედება საქართველოს ეკონომიკის მნიშვნლოვანი წინსვლის წინაპირობა შეიძლება გახდეს.

ევროკავშირის ღრმა და ყოვლისმომცველი სავაჭრო ხელშეკრულების ხელმოწერის შემთხვევაში კი, საქართველოში დამზადებულ ნაწარმს ევროპაში ისეთივე სარეალიზაციო პირობები შეექმნება, როგორითაც ადგილობრივი, ევროპული პროდუქცია სარგებლობს. მართალია, ამისთვის ქართულ პროდუქტს მოუწევს დაკმაყოფილოს მკაცრი ევროპული მოთხოვნები, რაც საკმაოდ რთული პროცესია, თუმცა, სამაგიეროდ მისი ხარისხი გაიზრდება და, შესაბამისად, გაიზრდება მისი საექსპორტო პოტენციალი.

ევროკავშირის ბაზარი დაახლოებით 480 მილიონ მომხმარებელს მოიცავს, და მისი კომბინირებული მთლიანი შიდა პროდუქტი 16 ტრილიონ ევროს შეადგენს. ნავარაუდევია, რომ ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცე საქართველოდან ევროკავშირში ექსპორტს მინიმუმ 12%-ით, ხოლო ევროკავშირიდან იმპორტს - 7.5%-ით გაზრდის. ქართული ბიზნესი ევროკავშირის შიდა ბაზრის სრულუფლებიანი მოთამაშე გახდება და მას გზა გაეხსნება იაფი ევროპული საკრედიტო რესურსებისკენ.

რამდენად შეძლებს და გადაწონის ამ პრეფერენციებს ევრაზიის საბაჟო კავშირში გაწევრიანების შედეგად მიღწეული პრეფერენციები და, თუნდაც, რუსეთის ბაზრის სრულად გახსნა საქართველოს პროდუქტისთვის?

2005 წელს, ჯერ კიდევ რუსეთის მიერ საქართველოსთვის გამოცხადებულ ემბარგომდე, მაშინ, როცა საქართველო ჯერ კიდევ დსთ-ს წევრი ქვეყანა იყო, საქართველოს ექპორტი ევროკავშირის ქვეყნებში მნიშვნელოვნად აღემატებოდა საქართველოს ექსპორტის მაჩვენებელს რუსეთში, კერძოდ: ევროკავშირში ექსპორტი წელიწადში 216 მილიონ აშშ დოლარს შეადგენდა მაშინ, როცა საქართველოს ექსპორტი რუსეთში 153 მილიონი აშშ დოლარი იყო. რუსეთს სულ უმნიშვნელოდ ჩამოუვარდებოდა თურქეთი, რომელიც წლების განმავლობაში საქართველოს ერთ-ერთი მთავარი პარტნიორია. ძალიან მნიშვნელოვანია ასევე, რომ რუსეთის ემბარგოდან დღემდე საქართველოს ექსპორტი დსთ-ს არაწევრ ქვეყნებში თითქმის გაოთხმაგებულია 241 მილიონიდან 778 მილიონამდეა გაზრდილი და ემბარგომდელ რუსეთის ექსპორტს 5-ჯერ აღემატება (იხილეთ დიაგრამები).

ეს ნიშნავს, რომ საქართველომ ამ პერიოდში შეძლო ბაზრების დივერსიფიცირება, მოახდინა ახალი ბაზრების ათვისება, გაზარდა პროდუქციის და საკუთარი კონკურენტუნარიანობის ხარისხი. ეს ციფრები დაახლოებით წარმოდგენას იძლევა იმაზე, რას კარგავს საქართველო, თუ აირჩევს ევრაზიული კავშირის წევრობას და ითამაშებს რუსული ეკონომიკური წესებით. მიიღებს რუსულ ბაზარს, რუსული პირობებით და დაკარგავს ბოლო 10 წლის მანძილზე მიღწეულ წარმატებებს საერთაშორისო ბაზარზე, ფინანსურ და ეკონომიკურ დამოუკიდებლობასთან ერთად. ევრაზიული საბაჟო კავშირი წევრ ქვეყნებს, რეალურად, სთავაზობს გეოგრაფიულ საზღვრებზე დაფუძნებულ სავაჭრო და ეკონომიკურ წესებს. მსგავსი, გეოგრაფიულ საზღვრებზე დაფუძნებული ეკონომიკური ურთიერთობები ნონსენსია გლობალური საბაზრო ეკონომიკის არსებობის ეპოქაში და იგი წევრ ქვეყნებს, რეალურად, თვითიზოლაციისკენ უბიძგებს. რაც საქართველოს ტიპის ქვეყნებისთვის, რომელიც დღეს ინტეგრირებულია მსოფლიო სავაჭრო სივრცეში, მომგებიანი ვერანაირად ვერ იქნება.

მე-12 საუკუნე - ყუთლუ არსლანის დასი და კარავის მოთხოვნა აბსოლუტური ძალაუფლების გადანაწილების შესახებ - ეს ფეოდალურ ეპოქაში პირველი პრეცედენტია

1919 წელი - საქართველოს პირველი რესპუბლიკის სადამფუძნებლო კრების საყოველთაო არჩევნებში ევროპის უმრავლეს ქვეყანაზე ათწლეულობით ადრე ხმის უფლება აქვთ ქალებს; არჩეულ დეპუტატთაგან კი ოთხი ქალია

1990 წელი - უზენაესი საბჭოს პირველი მრავალპარტიული არჩევნები, რასაც საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა მოჰყვა

2012 წელი - არჩევნების გზით ხელისუფლების გადაცემის პირველი პრეცედენტი, რომელიც ყველა ავტორიტეტულმა ორგანიზაციამ შეაფასა როგორც სამართლიანი, გამჭვირვალე და ისტორიული

პრეცედენტები ქმნის ტრადიციას

www.cesko.ge

პოლიციისთვის ახალი კანონმდებლობა მზადდება

დათო გამისონია

„პოლიციის შესახებ“ ახალი კანონპროექტი პარლამენტმა გუშინ პლენარულ სხდომაზე მეორე მოსმენით განიხილა. მანამდე კი კანონპროექტში შესწორებები საკომიტეტო მოსმენაზე შეიტანეს. მუხლს, რომელიც სპეციალურ საპოლიციო კონტროლს არეგულირებს, ახალი პუნქტი ემატება, რომლის თანახმადაც, პოლიციელი სპეციალური საპოლიციო კონტროლისას ვალდებული იქნება, ფორმის ტანსაცმელზე განთავსებული ვიდეოგადამღები აპარატი მუდმივ რეჟიმში ჰქონდეს ჩართული.

კანონპროექტის მომხსენებელი, შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე ლევან იზორია ამბობს, რომ კანონპროექტის მომზადებასა და დახვეწას ხანგრძლივი მუშაობა დასჭირდა. მისი თქმით, იურიდიულ კომიტეტთან ამ პროექტის შესახებ მსჯელობა ერთ დღეს 11 საათის განმავლობაში მიმდინარეობდა.

იზორიას თქმით, კანონმა წესრიგის დაცვასა და ადამიანის უფლებების დაცვას შორის არსებული ზღვარი ზუსტად უნდა განსაზღვროს.

შსს-ს მიერ მომზადებული კანონპროექტის მიმართ შენიშვნები ჰქონდა ბაღდათის მაჟორიტარ დეპუტატს პაატა კიკნაველიძეს, რომელიც წლების განმავლობაში იურიდიულ ფირმაში, ამჟამინდელ მთავარ პროკურორ არჩილ კბილაშვილთან ერთად, საადვოკატო საქმიანობას ეწეოდა. კიკნაველიძე არჩილ კბილაშვილისთვის დეპუტატის მანდატის შეწყვეტის შემდეგ გამოთავისუფლებული ადგილისთვის ბაღდათის ოლქში ჩატარებულ შუალედურ არჩევნებზე აირჩიეს მაჟორიტარად. გამორიცხული არ არის, რომ კიკნაველიძე მწყობრად ჩამოყალიბებული შენიშვნების წარდგენისას პროკურატურის პოზიციას გამოხატავდა.

პაატა კიკნაველიძემ კანონპროექტის მე-17 მუხლი გააკრიტიკა და აღნიშნა, რომ მისი ნორმები პროექტში ძველი კანონიდან არის გადატანილი. მე-17 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით, პირის მიერ კანონით დადგენილი საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენის შემთხვევაში პოლიციას ენიჭება უფლებამოსილება, რომ აღნიშნული პირის საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის ხელყოფის აღკვეთა სასამართლო გადაწყვეტილების გარეშე უზრუნველყოს.

კიკნაველიძის მტკიცებით, „ბ“ ქვეპუნქტი პრობლემატურია, რადგან ამით პოლიციელს, სამოქალაქო სასამართლოს ნაცვლად, წმინდა სამოქალაქო ურთიერთობის ფარგლებში წარმოშობილი სამართლებრივი კონფლიქტში ჩარევის უფლება ენიჭება.

პაატა კიკნაველიძე ყურადღებას ამახვილებს იმაზეც, რომ აღნიშნული ნორმის თანახმად, სამართალდამრღვევად განიხილება მფლობელი, რომელსაც ფლობის უფლების დამადასტურებელი წერილობითი საბუთი არ გააჩნია. მფლობელობა კი სამოქალაქო კოდექსის კატეგორიაა, სადაც მფლობელობის მართლზომიერების პირობად მხოლოდ წერილობითი ფორმის დოკუმენტი არ მიიჩნევა. **„გარიგება, რომლის საფუძველზეც შეიძლება, მართლზომიერი მფლობელობის უფლება წარმოიშვას, შეიძლება, ზეპირი ფორმით იყოს დადებული.**

პოლიციელს უფლება ენიჭება, სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე შევიდეს კერძო მფლობელობაში და ის მფლობელი პირისგან გამოათავისუფლოს. ეს კონსტიტუციის მე-20 მუხლთან გარკვეულ წინააღმდეგობას ქმნის. ხომ არ მიგაჩნიათ, რომ ეს ნორმა ამოსაღებია,“ - მიმართა შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილეს პაატა კიკნაველიძემ.

ლევან იზორია პარლამენტარებს ურჩევს, რომ თუ ამ ნორმის გაუქმება მიზანშეწონილად მიაჩნიათ, ახალი საკანონმდებლო ინიციატივა მოამზადონ და კანონში ცვლილებები შეიტანონ.

პარლამენტარების შენიშვნები ასევე ეხებოდა მე-19 მუხლში შესულ ჩამონათვალს, სადაც აღწერილია შემთხვევები, როცა პოლიციას უფლება აქვს, პირი შეაჩეროს, პერსონალური ინფორმაცია გამოკითხოს და პირადობის მოწმობის დამადასტურებელი საბუთები მოსთხოვოს. „ბ“ ქვეპუნქტის მიხედვით, პირი შეიძლება, გამოკითხონ, თუ პოლიციას საკმარისი საფუძველი აქვს ვარაუდისთვის, რომ ამ პირმა ჩაიდინა ან მოსალოდნელია, ჩაიდინოს დანაშაული.

უმრავლესობის წევრ ნუკრი ქანთარიას აზრით, პროექტში უნდა დაზუსტდეს, რომ პოლიციას ეს უფლება მხოლოდ იმ შემთხვევაში ენიჭება, თუ მას აქვს ინფორმაცია და არა - ვარაუდი.

ლევან იზორიამ პარლამენტარის წინადადება არ გაიზიარა და აღნიშნა, რომ ეს ნორმა კანონპროექტის არქიტექტურის შემადგენელი ნაწილია. მინისტრის მოადგილე უშუალოდ პირის გამოკითხვის წესებზე ამახვილებს ყურადღებას. **„კანონის ტერმინოლოგიაში ჩნდება ჩანაწერი - საკმარისი საფუძველი ვარაუდისთვის. ამ შემთხვევაში ჩვენ უფრო მაღალი სტანდარტის აქტით, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით ვიხელმძღვანელეთ. ამ სტანდარტში მოვაქციეთ ეს ტერმინი, რომლის ფარგლებშიც პოლიციელმა შეიძლება, გარკვეული გადაწყვეტილება მიიღოს,“** - თქვა იზორიამ.

კანონპროექტში დაკონკრეტებული არ არის, პოლიციელმა პირი გასაუბრების მიზნით რა სახის შეტყობინებით შეიძლება მიიწვიოს. **„პოლიციელმა კომუნიკაციის უზრუნველყოფისთვის შეიძლება, ყველა საშუალება გამოიყენოს - როგორც სატელეფონო ზარი, ასევე ვერბალური ურთიერთობა. თუ მეგობარი გაეხუმრა და პოლიციაში დაიბარა, მოქალაქემ შესაბამის განყოფილებაში უნდა გადაამწმოს,“** - თქვა იზორიამ.

ლევან იზორიამ კანონპროექტში შესული სიახლეების შესახებ საუბრისას აღნიშნა, რომ მოქმედი კანონმდებლობით, დანაშაულის შესახებ გონივრული ეჭვის არსებობის შემთხვევაში, პოლიციელმა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული უფლებები უნდა გამოიყენოს. **„დღეს თუ მოქალაქეს შეაჩერებ და ზედაპირული შემოწმების სურვილი გაგიჩნდება, სისხლის სამართლებრივი მეთოდი უნდა გამოიყენო, პირდაპირ ჩხრეკა უნდა ჩაატარო. ეს კი მოქალაქის უფლებებში ზომაზე მეტად ჩარევაა. ევროპაში ამას ნაკლები ჩარევის ინტენსივობის წესით აკეთებენ, რაც ახალი კანონპროექტითაც არის გათვალისწინებული,“** - აღნიშნავს იზორია.

პოლიციის შესახებ ახალი კანონის ამოქმედება 1 იანვარს იგეგმება.

პარლამენტიდან ორი სადავო კანონპროექტი გაიწვიეს

პირველი გვერდიდან

კიდევ ერთი კანონპროექტი, რასაც ხმაური მოჰყვა, „უმაღლესი განათლების შესახებ“ კანონში დაგეგმილი ცვლილებები იყო, რომელიც სახელოვნებო უმაღლეს სასწავლებლებში ზოგადი უნარების გამოცდაში ჩაჭრილ, განსაკუთრებული ნიჭის მქონე აბიტურიენტების ჩარიცხვას ითვალისწინებდა.

მთავრობამ კანონპროექტის შესახებ უარყოფითი დასკვნა მოამზადა, რაც პარლამენტში მისი განხილვის შეჩერების საფუძველი გახდა. **მთავრობის თანხმობის გარეშე კანონპროექტს მეორე მოსმენით ვერ განვიხილავდით, რადგან საქმე სახელმწიფო ბიუჯეტიდან გრანტების დამატებით გამოთხოვას ეხება. კანონპროექტი ივანე კიღურაძემ გაიწვია. ის აპირებს, კონსულტაციები გააგრძელოს მთავრობასთან, კონკრეტულად განათლების მინისტრ თამარ სანიკიძესთან, რომელსაც აღნიშნული კანონპროექტი არ მოსწონს,“** - თქვა განათლების, მეცნიერების და კულტურის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ ელისო ჩაფიძემ.

საკუთარი ინფორმაცია

ევროსაბჭოს ასამბლეა შეშფოთებას გამოთქვამს ოპოზიციის ლიდერთა დაკავებების გამო

ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეამ მონიტორინგის კომიტეტის მიერ მომზადებული რეზოლუცია მიიღო, რომელშიც საუბარია საქართველოს შესახებაც. როგორც რეზოლუციაშია ნათქვამი, ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეა კმაყოფილებას გამოთქვამს საქართველოში განვითარებული ზოგიერთი მოვლენით.

„ასამბლეა კმაყოფილებას გამოხატავს საქართველოში ხელისუფლების მშვიდობიანი გადაბარებისა და 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ ჭეშმარიტად პლურალისტური და დემოკრატიული გარემოს შექმნის გამო,“ - ნათქვამია რეზოლუციაში.

ამასთან, ასამბლეა ქვეყანაში განვითარებული ნეგატიური მოვლენების გამო შეშფოთებას გამოთქვამს.

„ასამბლეა შეშფოთებას გამოთქვამს საქართველოში რთულად წარმართული კოჰაბიტაციის პროცესისა და ოპოზიციის ლიდერთა დაკავებების გამო,“ - აღნიშნავს ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეა.

ამასთან, ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეა მოუწოდებს საქართველოს ხელისუფლებას, რომ ყოფილი მაღალჩინოსნების წინააღმდეგ სასამართლო საქმეები გამჭვირვალედ განხორციელდეს.

„ასამბლეა მოუწოდებს საქართველოს ხელისუფლებას, რომ ყოფილი მაღალჩინოსნების წინააღმდეგ, მათ შორის ყოფილი პრემიერ-მინისტრის, ჯანდაცვისა და თავდაცვის ყოფილი მინისტრების სასამართლო საქმეები განხორციელდეს გამჭვირვალედ და ადამიანთა უფლებების დაცვის ევროპული კონვენციის მე-5 და მე-6 მუხლების შესაბამისად,“ - ნათქვამია რეზოლუციაში.

მასში ასევე აღნიშნულია, რომ ასამბლეა შეშფოთებას გამოთქვამს რუსეთის მიერ რუსეთ-საქართველოს ომის შედეგების შესახებ მიღებული რეზოლუციის - კერძოდ, 2008 წელს მიღებული 1633 რეზოლუციისა და 2009 წელს მიღებული 1647-1683 რეზოლუციების შეუსრულებლობის გამო.

ამასთან, ასამბლეა წუხს, რომ მიუხედავად დაპირებისა - რუსეთისა და საქართველოს საკითხებში ევროსაბჭოს თანამომხსენებლები წვეოდნენ მოსკოვს, თბილისს, ცხინვალსა და სოხუმს ერთობლივი მისიის დროს, რომელსაც კომიტეტის თავმჯდომარე ხელმძღვანელობს, თანამომხსენებლები მხოლოდ მოსკოვსა და თბილისს ეწვივნენ 2013 წლის მაისში. ცხინვალსა და სოხუმში კი მათი ვიზიტი სეპარატისტული რეგიონების დე ფაქტო ხელისუფლების მხრიდან უარის თქმის გამო ვერ შედგა.

„ასამბლეა მხარს უჭერს კომიტეტის გადაწყვეტილებას, დაკვირვებით მიადევნოს თვალყური საქართველო-რუსეთის ომის შედეგად გამოწვეული შედეგების განვითარებას და სტატუსთან დაკავშირებული წინაპირობების გარეშე ჩაერთოს სოხუმისა და ცხინვალის დე ფაქტო ხელისუფლებებთან დიალოგში, თუ, რა თქმა უნდა, მათი მხრიდან დიალოგის გამართვის სურვილი იქნება,“ - ნათქვამია რეზოლუციაში.

სირიაში ქიმიური იარაღის განადგურების სპეციალისტები ჩავიდნენ

გუშინწინ და გუშინ სირიაში ქიმიური იარაღის განადგურების სპეციალისტების ჯგუფი ჩავიდა. 20-წევრიანი ჯგუფი მასობრივი განდაგურების იარაღის მარაგის ინვენტარიზაციას მოახდენს, რომელსაც გაეროს უშიშროების საბჭოს მიერ მიღებულ რეზოლუციაზე დაყრდნობით გაანადგურებენ. ქიმიური იარაღის აკრძალვის ორგანიზაციის ექსპერტები სირიის ტერიტორიაზე ლიბანის გავლით ჩავიდნენ. დამასკოში ისინი საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლებს შეხვდებიან. მომავალ კვირას ქვეყანაში სპეციალისტების მეორე ჯგუფი უნდა ჩავიდეს. არსებული გეგმის მიხედვით, სირიის ქიმიური იარაღი 2014 წლის შუა პერიოდისათვის უნდა განადგურდეს. პირველ ეტაპზე, რომელიც ნოემბრამდე გასტანს, ის მოწყობილობები განადგურდება, რომელთა მეშვეობითაც ქიმიური იარაღი მზადდება. ქიმიური იარაღის მარაგის ნაწილს გასანადგურებლად ქვეყნის საზღვრებს გარეთ გაიტანენ, დარჩენილი ნაწილი კი სირიაში განადგურდება, საერთაშორისო ექსპერტების მეთვალყურეობის ქვეშ.

საბერძნეთის პრემიერი ქვეყანაში ექსტრემიზმის აღმოფხვრის აპირებს

საბერძნეთის პრემიერ-მინისტრმა ანტონის სამარასმა ვაშინგტონში, პიტერსონის მსოფლიო ეკონომიკის ინსტიტუტში გამოსვლისას განაცხადა, რომ ექსტრემიზმი საბერძნეთში აღმოიფხვრება. პრემიერის თქმით, ეკონომიკურმა კრიზისმა ქვეყანაში პოლიტიკური პრობლემები გამოიწვია, რაც ექსტრემიზმისა და პოპულიზმით კიდევ უფრო მწვავდება: „ექსტრემიზმი განადგურდება. ჩვენს მთავრობას გააჩნია პოლიტიკური ნება და კონსტიტუციისა და კანონებისადმი პატივისცემა. „ოქროს განთიადის“ ხელმძღვანელობა ციხეში მოათავსეს,“ - განაცხადა პრემიერმა, რომლის თქმითაც, ეს ყველაფერი კანონის სრული დაცვით მოხდა.

„ოქროს განთიადის“ ოთხ წევრს დანაშაულებრივი ჯგუფის ლიდერობა ედებათ ბრალად. ცოტა ხნის წინ ნეონაცისტების ამ ჯგუფმა ანტიფაშისტი მუსიკოსი პავლოს ფისასი მოკლა. პრემიერის თქმით, წინ უნდა აღუდგნენ იმ ძალებს, რომლებიც ევროკავშირიდან და ნატოდან გამოსვლას მოითხოვენ.

პრემიერმა ქვეყანაში არსებულ ეკონომიკურ ვითარებას უმძიმესი შეფასება მისცა, თუმცა მისი თქმით: „საბერძნეთი ეკონომიკური კრიზისიდან გამოსვლისთვის პირველ ნაბიჯებს დგამს. მონაცემები აჩვენებს, რომ საბერძნეთი კრიზისიდან მალე გამოვა,“ - აღნიშნა პრემიერმა.

ეგვიპტელი გენერალი არჩევნების სწრაფად ჩატარების მომხრეა

„როიტერის“ ცნობით, ორშაბათს ეგვიპტის არმიის გენერალმა ქვეყანაში სტაბილურობის აღსადგენად არჩევნების სწრაფად ჩატარების შესახებ ისაუბრა, რადგან, მისი თქმით, გადაყენებული პრეზიდენტის მოჰამედ მურსის მომხრეები „სამხედრო მთავრობის დასასრულებლად“ გამოსვლებს არ წყვეტენ. 3 ივლისიდან, მას შემდეგ რაც ქვეყნის არმიამ მოქმედი პრეზიდენტი მოჰამედ მურსი თანამდებობას ჩამოაშორა, ეგვიპტეში მისი მხარდამჭერების საპროტესტო გამოსვლები არ ცხრება. ეგვიპტეში არსებულმა პოლიტიკურმა დაპირისპირებამ ქვეყანაში ტურიზმი და ინვესტიციები, ფაქტობრივად, მოსპო. პოლიციელებისა და სამხედროების წინაშე გამოსვლისას არმიის გენერალმა აბდელ ფატაჰ ალ-სისიმ ყველას მოუწოდა, „კარგად გაიაზრონ შექმნილი რთული ვითარება და რაც შეიძლება დააჩქარონ ტრანზიციის პროცესი.“ მისი თქმით, მურსიმ ეგვიპტელი ხალხის მოთხოვნების დაკმაყოფილება ვერ შეძლო. „მუსლიმმა ძმებმა“ არმია დემოკრატიული გზით არჩეული პრეზიდენტის ჩამოგდებაში დაადანაშაულეს.

ქვეყნის ახალმა საგარეო საქმეთა მინისტრმა ნაბილ ფაჰმიმ გასულ კვირას განაცხადა, რომ მთავრობა ტრანზიციის ფაზას მომავალი წლის გაზაფხულისთვის დაასრულებს.

ამერიკამ მადუროს საპასუხოდ ვენესუელელი დიპლომატები გააძევა

ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტმა კარაკასის ანალოგიური გადაწყვეტილების გამო სამი ვენესუელელი დიპლომატი პერსონა ნონ გრატად გამოაცხადა. მათ ამერიკის დასატოვებლად 48 საათი მისცეს. „მწუხარებას გამოვთქვამთ იმის გამო, რომ ვენესუელის მთავრობამ კიდევ ერთხელ მიიღო დაუსაბუთებელი ბრალდებით ამერიკელი დიპლომატების გაძევების გადაწყვეტილება და ეს საპასუხო ქმედებას მოითხოვს,“ - ნათქვამია სახელმწიფო დეპარტამენტის განცხადებაში. ცოტა ხნის წინ ვენესუელის პრეზიდენტმა ნიკოლას მადურომ სამი ამერიკელი დიპლომატი ქვეყნის ეკონომიკის მოშლის მიზნით დივერსიების მოწყობაში დაადანაშაულა.

აზერბაიჯანული გაზი რუსულზე იაფი იქნება

«SOCAR Turkey Enerji»-ს ხელმძღვანელ პეტკიმ ქენან იავუზის განცხადებით, აზერბაიჯანული გაზი ირანულზე და რუსულზე იაფი იქნება. იავუზის თქმით, კომპანია „სოკარი“ TANAP-ის გასაშვებად 2018 წლისათვის ემზადება. TANAP-ის პროექტი ითვალისწინებს „შაჰდენიზის“ საბადოდან გაზის ტრანსპორტირებას ევროპაში, თურქეთის გავლით. როგორც ვარაუდობენ, თავიდან ახალი მილსადენით 16 მილიარდი კუბური მეტრი გაზის ტრანსპორტირება იქნება შესაძლებელი. 6 მილიარდი თურქეთს მიეწოდება, დანარჩენი - ევროპას.

მოამზადა თამთა კახაძემ

ლეტას მთავრობამ ნდობის ვოტუმი მიიღო

ბერლუსკონიმ ჩათრევას ჩაყოლა ამჯობინა

ივა შილაკაძე

მოქმედი მთავრობისთვის ნდობის გამოსაცხადებლად გუშინ, საღამოს, იტალიის პარლამენტში კენჭისყრა გაიმართა. ქვეყანას ამჟამად მართავს მემარცხენე ცენტრისტებისა და მემარჯვენე ცენტრისტების ფართო კოალიცია სოციალ-დემოკრატებისა და სილვიო ბერლუსკონის «თავისუფლების ხალხის“ შემადგენლობით. პრემიერია სოციალ-დემოკრატი ენრიკო ლეტა, რომლის პარტიამაც თებერვლის არჩევნებზე ყველაზე მეტი ხმა მოაგროვა და ქვედა პალატაში უმრავლესობას ფლობს. ზედა პალატაში, სენატში, სოციალ-დემოკრატებს უმრავლესობა არ აქვთ და ამის გამო ყოფილ ოპონენტებთან გაერთიანება დასჭირდათ საკმაოდ მოულოდნელი შედეგებით დამთავრებული არჩევნების შემდეგ.

სამთავრობო კრიზისი ორიოდე კვირის წინ დაიწყო, კოალიციური მთავრობის ჩამოყალიბებიდან სულ რამდენიმე თვის შემდეგ. ამას, ფაქტობრივად, ორი მიზეზი აქვს. პარტია «თავისუფლების ხალხი“ დამატებითი ღირებულების გადასახადის დაგეგმილი გაზრდის წინააღმდეგ გამოვიდა. ეს ზომა მთავრობის პროგრამაშია გათვალისწინებული, რომელიც სახელმწიფო ვალის შესამცირებლად შეიმუშავეს. ამას გარდა, დეპუტატები «თავისუფლების ხალხიდან“ დიმუქრნენ, რომ საკუთარ მანდატებზე უარს იტყვიან, თუ იტალიის სენატის კომიტეტი ამ კვირაში ხმას მისცემს ბერლუსკონის «გარიცხვას“ საგადასახადო მაქინაციებისთვის მისი გასამართლების გამო. ბერლუსკონის წინააღმდეგ მიმართულ გამოძიებისა და სასამართლო პროცესების შესახებ დაწვრილებით წერდა «24 საათი“.

ბერლუსკონიმ კაბინეტის წევრებს თავისი პარტიიდან («თავისუფლების ხალხს“ 5 პორტფელი აქვს) მოუწოდა, ერთდროულად დატოვონ მთავრობა. ამან კოალიციის არსებობა საფრთხის წინაშე დააყენა.

პრემიერმა ენრიკო ლეტამ ბერლუსკონი იმაში დაადანაშაულა, რომ ეს უკანასკნელი დამატებითი ღირებულების გადასახადის საკითხს პირადი პრობლემების გადასაწყვეტად იყენებს. ენრიკო ლეტამ პარლამენტში თვითონ დააყენა საკუთარი კაბინეტის ნდობის საკითხი და გადადგომით დაიმუქრა, თუ მთავრობა საჭირო ხმებს ვერ მიიღებს. საერთაშორისო სავალუტო ფონდმაც გააფრთხილა ლეტა, რომ კოალიციის შიგნით დაძაბულობა ნეგატიურად აისახება იტალიის ეკონომიკაზე, რომელიც ევროზონაში მესამე ადგილზეა.

მთავრობის მიერ ნდობის ვოტუმის მისაღებად საჭიროა, რომ მას მხარი დაუჭიროს, სულ ცოტა, 161-მა დეპუტატმა. წინააღმდეგ შემთხვევაში, ვადამდელი არჩევნების დანიშვნა გახდება საჭირო, თუმცა იტალიის 88 წლის პრეზიდენტმა ჯორჯო ნაპოლიტანომ ჯერ კიდევ ორშაბათს გამოთქვა იმედი, რომ კოალიციის ჩამოყალიბება ასეთი უკიდურესი ზომების გარეშეც მოხერხდება.

ბერლუსკონის მონოდება არ გაიზიარა მისივე პარტიის უმრავლესობამ და მათ შორის არც მთავრობის წევრებმა «თავისუფლების ხალხიდან“. მათ მთავრობის დატოვების სურვილი არ აღმოაჩნდათ. ანჯელინო ალფანომ, ვიცე-პრემიერმა და ბერლუსკონის პარტიის მდივანმა სამშაბათს განაცხადა: «მტკიცედ მჯერა, რომ ჩვენმა პარტიამ ოთხშაბათს ნდობა უნდა გამოუცხადოს ლეტას მთავრობას.“ ამ პარტიის წევრმა, სენატორმა და ოჯახის საკითხებში ყოფილმა მინისტრმა კარლო ჯოვანანრდიმ ასევე განაცხადა, რომ ლეტას კაბინეტს ნდობის მოპოვების ყველა შანსი აქვს. ამ განცხადებებამდე, ჯერ კიდევ ორშაბათს, ჯანდაცვის მინისტრმა ბეტრიჩე ლორენცინმა განაცხადა: «მე მთლიანად მესმის მისი (ბერლუსკონის) განწყობა, მაგრამ ვერ გავიზიარებ მის სტრატეგიას და მას ახსნას ვერ მოვუძებნი“. გადადგომის სურვილი არ გამოუთქვამთ არც რეფორმების მინისტრ გაეტანო კვალიარელოს და ტრანსპორტის მინისტრ მაურიციო ლუპის. ამ უკანასკნელმა განაცხადა, რომ «ჩვენ გვინდა, მხარი დავუჭიროთ ბერლუსკონის, მაგრამ არა - მის ცუდ მრჩევლებს.“

ამ სიტუაციაში ბერლუსკონიმ, ეტყობა, იგრძნო, რომ გადააჭარბა, დაინახა, რომ საკუთარ პარტიასაც ვერ იმორჩილებს და პოზიცია მკვეთრად შეიცვალა. პარლამენტის სხდომაზე მან თვითონ მოუწოდა დეპუტატებს ლეტას მთავრობის მხარდაჭერისკენ. «იტალიას სჭირდება მთავრობა, რომელსაც სტრუქტურული და ინსტიტუციური რეფორმების განხორციელება შეეძლება. ჩვენ შინაგანი ბრძოლის შემდეგ გადავწყვიტეთ, ხმა მივცეთ კოალიციურ მთავრობას.»

თვითონ ენრიკო ლეტამ კენჭისყრის წინ დეპუტატებს ასე მიმართა: «გამოგვიცხადეთ ნდობა, რათა ჩვენი მიზნების განხორციელება შევძლოთ. გამოუცხადეთ ნდობა ყველაფერს, რისი გაკეთებაც ჩვენ უკვე მოვასწარით... გამოუცხადეთ ნდობა იტალიას და იტალიელებს.»

მთავრობამ ფართო მხარდაჭერა მიიღო. მისდამი ნდობას ხმა მისცა 235-მა დეპუტატმა, წინააღმდეგი იყო - 70. ბერლუსკონის ყველაზე აქტიურმა მომხრეებმა - დაახლოებით, 10-12-მა დეპუტატმა - დარბაზი დატოვეს და კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიუღიათ.

მიმომხილველების აზრით, საკუთარი პოზიციის ასეთი მკვეთრი და თან იძულებითი ცვლილების შემდეგ იტალიის პოლიტიკურ ისტებლიშმენტზე ბერლუსკონის გავლენა მნიშვნელოვნად შესუსტდება.

ობამამ რესპუბლიკელები „ეკონომიკის მძევლად„ აყვანაში დაადანაშაულა

თამთა კახაძე

კონგრესში დემოკრატები და რესპუბლიკელები ბიუჯეტის შესახებ ვერ შეთანხმდნენ, რის გამოც ამერიკის ფედერალური მთავრობის ორგანოებმა მუშაობა დროებით შეაჩერეს. უთანხმოების უმთავრეს საგანს ჯანდაცვის რეფორმა წარმოადგენს. რესპუბლიკელები მოითხოვენ, რომ ჯანდაცვის რეფორმის რეალიზება ერთი წლით შეჩერდეს. სენატმა, სადაც უმრავლესობას დემოკრატები შეადგენენ, ამ მოთხოვნის გამო ქვედა პალატის მიერ დამტკიცებული ბიუჯეტი არ მიიღო.

თეთრ სახლში გამოსვლისას ამერიკის პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ რესპუბლიკელები გააკრიტიკა და მოუწოდა, რაც შეიძლება მალე მისცენ ფედერალურ ხელისუფლებას მუშაობის განახლების საშუალება. მისი თქმით, რესპუბლიკელებს არ უნდა ჰქონდეთ ქვეყნის ეკონომიკის მძევლად აყვანის საშუალება: „პოლიტიკური უთანხმოების გამო არავის აქვს უფლება, საფრთხის ქვეშ დააყენოს ქვეყნის ეკონომიკა და მილიონობით ადამიანის კეთილდღეობა,“ - განაცხადა პრეზიდენტმა. კომპრომისის მიულწევლობს გამო ფედერალურ მთავრობაში დასაქმებულ 800 000 ადამიანს უხელფასო შვებულებაში გაუშვებენ. (ამის შესახებ გუშინ და გუშინწინ დაწვრილებით წერდა «24 საათი»).

ამერიკის ბიუჯეტის დამტკიცების ირგვლივ შექმნილი პრობლემის გამო ქვეყნის პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ მალაიზიაში დაგეგმილი ვიზიტი გადადო. აღნიშნულის შესახებ მალაიზიური სააგენტოები ქვეყნის მთავრობის მეთაურ ნაჯიბ რაზაკზე დაყრდნობით წერენ. ობამა მალაიზიაში 11 ოქტომბერს უნდა ჩასულიყო, სადაც სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნების ლიდერების სამიტს უნდა დასწრებოდა.

ნეთანიაჰუ როუჰანის არ ენდობა

პირველი გვერდიდან

საპასუხოდ ირანმა განაცხადა, რომ ბირთვული იარაღის შექმნას არ გეგმავს, ხოლო ისრელის პრემიერის სიტყვებს «უაღრესად წამქეზებლური“ უწოდა.

ბოლო პერიოდში ირანისა და აშშ-ს ურთიერთობებში დათბობის ნიშნები გამოჩნდა. კერძოდ, პრეზიდენტებმა როუჰანიმ და ობამამ ტელეფონით ისაუბრეს. ეს იყო ამ ორ ქვეყანას შორის პირველი კონტაქტი უმაღლეს დონეზე ირანის რევოლუციის ანუ 1979 წლის შემდეგ. მიუხედავად ამისა, ორშაბათს ობამამ ორმხრივი შეხვედრისას ნეთანიაჰუ დაარწმუნა, რომ ძველებურად არ გამორიცხავს ძალის გამოყენებას ირანის ბირთვული პროგრამის მიმართ. ამის შემდეგ ირანის საგარეო საქმეთა მინისტრმა ჯავად ზარიფმა ობამას ბრალი დასდო, რომ ის ორ სახელმწიფოს შორის მოლაპარაკებებში «პოლიტიკურ ყირამალას“ აკეთებს.

უფრო კონკრეტულად, გაეროსადმი თავის მიმართვაში ისრაელის პრემიერ-მინისტრმა ბენამინ ნეთანიაჰუმ განაცხადა, რომ ბირთვული იარაღის მქონე ირანი ისრაელის მომავალს საფრთხეს შეუქმნის და დანარჩენ სახელმწიფოებს ირანის ისლამური რესპუბლიკის წინააღმდეგ სანქციების შენარჩუნებისკენ მოუწოდა. ისრაელის პრემიერის სიტყვებით, როუჰანის იგივე ძალები ამოძრავებენ, რაც მის წინამორბედს, მაჰმუდ აჰმადინეჯადს, რომელსაც სიტყვიერადაც უფრო მკაცრი პოზიცია ეკავა. «აჰმადინეჯადი იყო მგელი მგლის ტყავში, ხოლო როუჰანი ცხვრის ტყავში გახვეული მგელია,“ - გააფრთხილა მსოფლიო ნეთანიაჰუმ.

ირანის პრეზიდენტი კატეგორიულად უარყოფს იმ ბრალდებას, რომ მისი მთავრობა ბირთვული იარაღის შექმნას აპირებს. ნეთანიაჰუმ აღნიშნა: «მინდა, დავუჯერო როუჰანის. მაგრამ არ შემიძლია.“ მისი სიტყვებით, ირანის პრეზიდენტი მთელი მსოფლიოს გასულელებას ცდილობს. ისრაელის პრემიერმა განაცხადა, რომ როუჰანიმ თავის დროზე, როდესაც ის ბირთვული პროგრამის შესახებ ირანის მხრიდან მთავარი მომლაპარაკებელი იყო, შეიმუშავა სტრატეგია, რომელიც მის ქვეყანას საშუალებას აძლევს, საკუთარი ბირთვული იარაღის შექმნამდე მივიდეს.

თეირანი კვლავ აგრძელებს მტკიცებას, რომ მისი ბირთვული პროგრამა მშვიდობიანი ხასიათისაა, თუმცა სექტემბერში, ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს ინფორმაციის თანახმად, ირანმა მკვეთრად გაზარდა ურანის გამდიდრების საკუთარი სიმძლავრეები. კერძოდ, ურანის გამამდიდრებელ ცენტრ ნათანზში ათასზე მეტი თანამედროვე ცენტრიფუგა დააყენა. 15 ოქტომბერს ჟენევაში ირანსა და საერთაშორისო შუამავლების «ექვსეულს“ შორის ირანის ბირთვული პროგრამის შესახებ მოლაპარაკებების მორიგი რაუნდი უნდა გაიმართოს. ამ ექვსეულში შედიან აშშ, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, ჩინეთი, რუსეთი და გერმანია. მოლაპარაკებებში მონაწილეობენ აგრეთვე ევროკავშირი და ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს წარმომადგენლები. როუჰანიმ პირობა დადო, რომ ამ შეხვედრაზე ირანი პრობლემის მოგვარების გარკვეულ გეგმას წარმოადგენს, მაგრამ ამ გეგმის დეტალებზე არ უსაუბრია. «ექვსეულმა“ საკუთარი გეგმა ირანს წინა კვირაში ნიუ-იორკში გამართულ შეხვედრაზე გადასცა.

«ექვსეული“ ირანისგან მოითხოვს 20 პროცენტამდე გამდიდრებული ურანის მარაგის დაგროვებისა და საერთოდ ამ დონემდე ურანის გამდიდრების შეწყვეტას. 20 პროცენტზე მეტად გამდიდრებული ურანი უკვე შეიძლება, პრიმიტიულ ბირთვულ მუხტებში იქნეს გამოყენებული. ეფექტური ბირთვული იარაღის შესაქმნელად 85 პროცენტზე მეტად გამდიდრებული ურანია საჭირო, თუმცა ეს გამდიდრების ტექნოლოგიის ქონის პირობებში, პრინციპში, დროის საკითხია.

„ბი-ბი-სის“ მიხედვით მოამზადა ივა შილაკაძემ

კალათბურთის ფედერაციის გამგეობის განცხადება

პირველი გვერდიდან

შეხვედრების გრაფიკი ასეთია:

4 ოქტომბერი - შეხვედრა ვეტერან კალათბურთელებთან (თბილისი)

11 ოქტომბერი - შეხვედრა მოქმედ და ვეტერან მსაჯებთან, კომისრებთან, მსაჯ-მდივნებთან (თბილისი)

16 ოქტომბერი - შეხვედრა დასავლეთ საქართველოს საკალათბურთო წრეებთან (ქუთაისი)

22 ოქტომბერი - შეხვედრა აღმოსავლეთ საქართველოს საკალათბურთო წრეებთან (რუსთავი)

4 ნოემბერი - შეხვედრა თბილისის საკალათბურთო კლუბებთან და ბავშვთა საკალათბურთო სკოლებთან (თბილისი)

8 ნოემბერი - შეხვედრა თბილისის საკალათბურთო საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან და პროფესიულ კავშირებთან (თბილისი)



პაატა გურასპაული

13 ნოემბერი - შეხვედრა თბილისის მოქმედ და ვეტერან მწვრთნელებთან (თბილისი)

შენიშვნა: გამგეობისთვის სასურველი შეხვედრის თარიღი საქართველოს ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტთან დადგინდება სეოკ-თან შეთანხმების შემდეგ.

დამატებით გამოცხადდება შეხვედრების ადგილი და დრო, რის შესახებაც ეცნობება კონკრეტულ შეხვედრებში მონაწილე ორგანიზაციებს და პირებს.

როგორც კალათბურთის ფედერაციის გამგეობის დღევანდელ განცხადებაში იყო მითითებული, ქართული საკალათბურთო სამყაროს წარმომადგენლებთან დაგეგმილი შეხვედრების ზუსტი დრო მოგვიანებით დაზუსტდება. ამ ეტაპზე გადაწყდა პირველი შეხვედრის დრო და ადგილი.

4 ოქტომბერს კალათბურთის ფედერაციის გამგეობის წევრები ვეტერან კალათბურთელებს შეხვდებიან. შეხვედრა გაიმართება სასტუმრო „რედისონის“ საპრესკონფერენციო დარბაზში 16:00 საათზე. ყველა ვეტერან კალათბურთელს, რომელიც დაინტერესებულია ქართულ კალათბურთში მიმდინარე პროცესებით, ვთხოვთ, მობრძანდეს ამ შეხვედრაზე.

www.gbf.ge

ჯეისონი

ზურა თალაკვაძე



ჯეისონ კიდი

ამერიკაში ჰორორ-ფოლკლორი ფრედი კრიუგერის დაროსტბიფებული სახე და ჯეისონის ათლეტური სადიზმია. A Nightmare on Elm Street და Friday 13-th კლასიკაა. ყველას თავისი ფავორიტი ჰყავს. ზოგს ფრედის ტანგო მოსწონს. ზოგისთვის ჯენტლმენი ჯეისონი არის ეტალონი. რისი? ალბათ, გალანტური მეგობრის, რომელიც დაუვიწყარ ცეკვას გთავაზობს. ცეკვას, სადაც ბევრს და დაუსრულებლად გაცეკვებენ და იქიდან არ ბრუნდებიან. ჩემი ფავორიტიც ჯეისონია. და მიხაილ პროხოროვიც ჯეისონს ენდო. ცოტა სხვა ჯეისონს. ის ჯეისონი არ ჩეხავს და გაყინულ სხეულზე არ გადებს მაჩეტეს. ის ჯეისონი წლების განმავლობაში არიგებდა პასებს და ის ჯეისონი ჰუმანური არსებაა. მართლა ჰუმანური. ბრუკლინში ჯეისონ კიდი ჩაიყვანეს და „ნეთსის“ რუსი ბოსი პირველივე სეზონში კიდისგან მაქსიმუმს ითხოვს. ან ჯეისონი ზედმეტი იქნება.

კიდმა ასისტენტად ლოურენს ფრენკი მიიყვანა. ფრენკი „ნიუ ჯერსიში“ იყო კიდის მწვრთნელი და ის გუნდი იგებდა. იმ გუნდში კიდი სიტუაციას ალაგებდა, არითმიით იგებდა, არ ცდილობდა იმპულსების დაფარვას და კიდი იმ გუნდის მემანქანე იყო. აიღებდა ჩვარს, სახიდან და ხელებიდან მაზუთს მოიშორებდა და იწყებდა ახალ წრეს. კიდთან ერთად „ნიუ ჯერსი“ ორჯერ მივიდა ფინალამდე და იმ დროს ფინალში გასვლა ჩემპიონობის ტოლფასი იყო. ფინალში გადიოდი და იქ მოდიოდა „ლეიკერსი“ (2002, 0:4) ან „სან ანტონიო“ (2003, 2:4). ფინალში გასვლით იღლებოდი და ფინალში შაკი და დანკანი გშლიდნენ. ფინალში „ბრუკლინმაც“ უნდა ითამაშოს. ეს პროხოროვის მოკლევადიანი გეგმაა და რუსმა ამ საქმისთვის კიდს დაუძახა. თუ ჯეისონი ფინალის ვიზას აიღებს, კიდს განსაკუთრებულ სამახსოვრო საჩუქარს მოუმზადებენ. პროხოროვმა პატივისცემა იცის. პროხოროვი სამართლიანი კაცია. კიდმა თავისი შანსი უნდა გამოიყენოს. და კიდი ამ შანსს დაელოდება.

კიდმა უნდა მიიღოს მაქსიმუმი კევინ გარნეტისგან. კევინი ამ გუნდის ერთ-ერთი ლიდერი იქნება და მეოთხე ნომერი უკვე თავის პოზიციაზე იდგება. არა ცენტრზე, როგორც „ბოსტონში“. თავის პოზიციაზე, თავის უბანში. გარნეტი კიდის მაჩეტე და სიმშვიდეა.

კიდმა უნდა მიიღოს საკმარისი პოლ პირსისგან. ან პირსი ბალასტი გახდება. პირსი, რომელიც ლარი ბერდის შემდეგ „ბოსტონისთვის“ შეუცვლელი იყო. პირსი, რომელიც „ბოსტონმა“ ვერ შეინარჩუნა. პირსი, რომელიც „ბრუკლინში“ უნდა გაიხსნას.

კიდმა უნდა მიიღოს მაქსიმუმი კიდევ ერთი რუსისგან. ანდრეი კირილენკომ უარი თქვა ტიმ დანკანთან ერთად თამაშზე და პროხოროვთან გაიქცა. კირილენკო იქ ყველაფერს დააბალანსებს. კირილენკო იქ გარნეტის ძმაკაცი იქნება. და სამწამიანი ჩაიკეტება.

ამერიკაში ჰორორ-ფოლკლორი ფრედი კრიუგერის დაროსტბიფებული სახე და ჯეისონის ათლეტური სადიზმია. A Nightmare on Elm Street და Friday 13-th კლასიკაა.

პროხოროვი თავისი, რუსული ფოლკლორით იგებს. უნდა, რომ მოიგოს. და პროხოროვის მაჩეტეს კიდი აწევს. და წამოვა სისხლის წვიმა. როგორც ხშირად მოდის ხოლმე. როდესაც წვიმს. და როდესაც ბნელ, სველ, მოგონებებით დამძიმებულ გზაზე ჯეისონი დგება.

ალექსანდრე ჩივაძე ევროშესარჩევში ცვლილებებს ვერ ასცდა

პირველი გვერდიდან

საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელი ალექსანდრე ჩივაძე ევროშესარჩევის მოახლოებული ორი მატჩისთვის იძულებით ცვლილებებს მაინც ვერ ასცდა.

გუშინ საღამოს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში პოლონური ბიალისტოკის «იაგელონიადან“ მოვიდა ოფიციალური წერილი, რომელშიც ნათქვამია:

«უპირველესად მადლობას გიხდით ჩვენი ფეხბურთელის - ნიკა ძალამიძის 21 წლამდელთა ნაკრებში გამოძახებისთვის. თუმცა, გვინდა გაცნობოთ, რომ ნიკამ ახლახან დაამთავრა ხანგრძლივი მკურნალობა მძიმე ტრავმის შემდეგ. ფეხბურთელი ახლაც ექიმების მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფება. ამავე დროს ის უკვე ვარჯიშობს გუნდთან ერთად და თამაშიც დაიწყო, მაგრამ კიდევ სჭირდება დრო ფორმის სრულად აღსადგენად. ამიტომ, გთხოვთ, გააუქმოთ მისი გამოძახება მოახლოებული ორი თამაშისთვის. კიდევ ერთხელ შეგახსენებთ, რომ ძალამიძეს მეტი დრო სჭირდება აღდგენისთვის. დარწმუნებული ვართ, ნაკრებში მომდევნო გამოძახებისთვის ის სრულ მზადყოფნაში იქნება.“

აქედან გამომდინარე, ახალგაზრდული ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა მიიღო გადაწყვეტილება, ნაკრებში გამოძახების შესახებ გუშინვე ეცნობებინა მარტვილის «მერანის“ 17 წლის შემტევისთვის - აკაკი შულაიასთვის. შესაბამისად, კლუბში ოფიციალური გამოძახება გაიგზავნა.

ალექსანდრე ჩივაძემ აკაკი შულაია გაზაფხულზე, გიორგი დევდარიანის 17 წლამდელთა ნაკრების შემადგენლობაში ნახა და მას შემდეგ სულ მხედველობის არეში ჰყავდა. ახლა კი ნაკრების თავკაცმა 17 წლის ფეხბურთელს უკვე თავისთან უხმო, რაც, ცხადია, დიდი ნდობის გამოცხადებაა. წლევანდელ ეროვნულ ჩემპიონატში აკაკი შულაია მართლაც ერთ-ერთი გამორჩეული ახალგაზრდა ფეხბურთელია და ის ამას ყველა თამაშზე ამტკიცებს.

ჯერჯერობით ახალგაზრდულ ნაკრებში მეტი სიახლე არ არის. შეგახსენებთ, რომ მედიის შეკითხვებს ალექსანდრე ჩივაძე საგანგებო პრესკონფერენციაზე უპასუხებს.

სფფ-ის პრესსამსახური

ქართული ალპინიზმი 90 წლის იუბილესთვის ემზადება

სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროში გაიმართა მთამსვლელობის ეროვნული ფედერაციის, მთამსვლელობის ფედერაციისა და მეკლდეურობის ეროვნული ფედერაციის პრესკონფერენცია, რომელიც ქართული სპორტული ალპინიზმის 90 წლისთავთან დაკავშირებულ ღონისძიებებს მიეძღვნა.

პრესკონფერენციაზე ჟურნალისტების შეკითხვებს უპასუხეს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის მოადგილემ თამაზ თევზაძემ, მთამსვლელობის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტმა გივი ქართველიშვილმა, მთამსვლელთა ფედერაციის პრეზიდენტმა შოთა მირიანაშვილმა, მეკლდეურთა ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტმა ნიკოლოზ კვეზერელმა და მთამსვლელმა ბიძინა გუჯაბიძემ. ღონისძიებები სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს მხარდაჭერით და დაფინანსებით ჩატარდება.

ქართული ალპინიზმის 90 წლის იუბილესთან დაკავშირებით დაგეგმილია ღონისძიებები თბილისსა და სტეფანწმინდაში:

5.10 - საჩვენებელი ცოცვა ხელოვნურ კედელზე ვერის ბაღში.

6.10 - საიუბილეო-საჩვენებელი ცოცვა თბილისში, მეტეხის კლდეებზე.

10.10-დან თბილისში, ვერის ბაღში, საქართველოს ალპურ კლუბში, იმუშავებს საქართველოს მთამსვლელობის მუზეუმი და ჩატარდება შეჯიბრებები ბოლდერინგში

11.10 - სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროსა და მთამსვლელთა ფედერაციების ერთობლივი საიუბილეო საღამო ქ. სტეფანწმინდაში.

12.10 - დაღუპულ მთამსვლელთა ხსოვნისადმი მიძღვნილი პანაშვიდი ქაშუეთის ტაძარში.

22.10 - ქართული ალპინიზმის 90 წლისთავისადმი მიძღვნილი დასკვნითი საიუბილეო საღამო და ვეტერან მთამსვლელთა დაჯილდოების ცერემონიალი მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნულ სასახლეში.

msy.gov.ge


PHOTOGRAPHED BY FRED MEYLAN
ELITE MODEL LOOK GEORGIA & ARMENIA FINAL SHOW
N°1 MODEL SEARCH WWW.ELITEMODELLOOK.COM/GE WWW.ELITEMODELLOOK.COM/AM
5 OCTOBER
Tbilisi, Georgia
20:00
elite 2013
MODEL LOOK
GEORGIA
ARMENIA
MODEL MANAGEMENT
kikala studio
MAX PROM
BEAUTY SALON L'Académie
OUTdooR.ge
saller
ADSSPRINT
SHOES-CAFE MADONNA
TBILISI MALL
McCANN TBILISI
NEPTUN
MUSIC BOX
MYVIDEO.GE
EGO
GHN
ANGEL
MSG MARKETING
24 საათი
allmovies.ge
Pink
LUXURY
IMPERIAL PALACE HOTEL
KAMOBLOG.TV
FASHION BLOG .AM